პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

[illegible]
სამშაბათი,
8
იანვარი
1935 წ.
№ 7 4164

დღის ნომერში

— 7 იანვარს გაიხსნა ორდენოსანი მოსკოვის ოლქის მე-3 ყრილობა (1-ლი გვ.)
— ჩეხო-სლოვაკიის ჟურნალისტები საბჭოთა კავშირის შესახებ (1-ლი გვ.).
— რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი (1-ლი გვ.).
— სტატია თ. ჟღენტის—საბჭოთა საქართველო დიდი გამარჯვებებით ეგებება თავის საბჭოების მე-7 ყრილობას (მე-2 გვ.)
— საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება (1-ლი გვ.).
— სტატია გალ. მინდაძის —მეფრინველეობის განვითარებისათვის საქართველოში (მე-3 გვ.).
— გასტინგსის საჭადრაკო ტურნირის შედეგები (მე-4 გვ.).
— ხელფასის გადიდება საორთქლმავლო ბრიგადებისათვის (1-ლი გვ.).
— ტრაქტორების შეკეთება 1-ლი იანვრისათვის (მე-3 გვ.).

ტრაქტორების რემონტს— ბოლშევიკური ტემპები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა თავის რეზოლიუციაში საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლმეურნეობების საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებას.

მან დაავალა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს თავის უახლოეს საბრძოლო ამოცანად დასახონ საგაზაფხულო კამპანიის სანიმუშოდ გაშლა — უზრუნველყონ თესლისა და მუშა-პირუტყვის მომზადება და ყველა წინასწარი ზომების მიღება იმისათვის, რომ თითეული კოლმეურნე და ინდივიდუალური მეურნე საგაზაფხულო ხვნა-თესვას შეხვდეს ყოველმხრივ მომზადებული.

საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სარემონტო კამპანიას. ცხადია თუ ტრაქტორი, სათესი მანქანა, ტრიერი და სხვა ინვენტარი რიგიანად არ იქნა მომზადებული, ძნელია ლაპარაკი საგაზაფხულო ხვნა - თესვისათვის სამზადისის სერიოზულად გაშლაზე.

იბადება კითხვა; შეიგნეს თუ არა ეს უბრალო ჭეშმარიტება მტს-ს დირექციებმა, მიწგანებმა და სოფლის პირველად პარტიულმა ორგანიზაციებმა?

საქართველოს მიწსახკომის ნაკრები ცნობები და ჩვენი რედაქციის საკუთარი ინფორმაცია მოწმობს, რომ მანქანა-იარაღების რემონტის მიმდინარეობაში ჯერ კიდევ არ მომხდარა საჭირო გარდატეხა. ჯერ კიდევ არ არის იმის ნიშნები, რომ მიწგანები, მტს-ის და საბჭოთა მეურნეობების დირექციები ამ საქმეს არ აქცევდენ საჭირო ყურადღებას.

„კომუნისტში" გამოქვეყნებული იყო ცნობები რემონტის ტემპების ჩამორჩენის შესახებ კასპის, ყვარელის და სიღნაღის რაიონებში. დღეს ჩვენს გაზეთში მკითხველები ნახავენ მამხილებელ მასალას სარემონტო საქმის ყოვლად უხეიროდ დაყენებაზე გორის რაიონში.

ყველა ეს მასალები ლაპარაკობენ იმაზე. რომ ჯერ კიდევ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ადგილებზე სათადარიგო ნაწილებისა და კადრების გამოყენებას, რემონტის ხარისხის გაუმჯობესებას, მისაბმელი ინვენტარის შეკეთებას. და, რაც მთავარია. სარემონტო სახელოსნოებში მომუშავე ცოცხალ ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ავიღოთ მაგალითად გორის მტს-ს სარემონტო სახელოსნო. იქ „სწუხან" იმაზე, რომ რემონტის გეგმები ვადაზე არ სრულდება, ამავე დროს კი თითქმის არავითარ ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ ცალკე სარემონტო ბრიგადებს მისცენ თუნდაც უბრალო თავშესაფარი რემონტის ნორმალურად წარმოებისათვის.

იბადება კითხვა. ასეთ პირობებში ვინ უფრო არის დამნაშავე რემონტის გეგმების შეუსრულებლობისათვის — სარემონტო სახელოსნოს უფროსი, თუ მტს-ს დირექცია რომელიც შრომის მოწესრიგებას და ცოცხალი ადამიანებისათვის ზრუნავს უკანა პლანზე აყენებს?

სანამ სარემონტო სახელოსნოებში ბოლშევიკური წესრიგი არ დამყარდება და ცოცხალ ადამიანებზე ზრუნვა პირველ რიგში არ მოექცევა, მანამდე ძნელია რემონტის ტემპების გაუმჯობესება და გეგმების დროულად შესრულება.

ტრაქტორების რემონტის ტემპები რესპუბლიკაში სრულიად არ არის საკმარისი. საფრთხეშია როგორც რთული აგრეგატების, ისე მისაბმელი ინვენტარის შეკეთება.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების და პირველ რიგში მტს-ს დირექტორების ამოცანას წარმოადგენს ბოლო მოუღონ ამ სამარცხვინო ჩამორჩენას. რაიაღმასკომისა და სოფსაბჭოების ვალია ყოველმხრივ გააძლიერონ სოფლის სამჭედლოების მუშაობა და მიაღწიონ იმას. რომ კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ სექტორში არცერთი მანქანა-იარაღი არ დარჩეს შეუკეთებელი.

ეს იქნება საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარების და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელების პირობა

დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებას მტკიცე ხელმძღვანელობა

სოციალისტური კულტურის მშენებლობის გიგანტური ტემპები მოითხოვს ყველა მასწავლებლისგან თავისთავზე შეუწყვეტლივ მუშაობას, თავისი ცოდნის მარადის სისტემატიურად გადიდებას. მასწავლებელი, რომელიც ყოველდღიურად არ აღრმავებს თავის ცოდნას, არ ეუფლება სასწავლო - პედაგოგიური პროცესის ტექნიკას, ვერ გაამართლებს საბჭოთა მასწავლებლის საპატიო სახელს.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სკოლის ძირითადი ნაკლის საბოლოოდ მოსპობა, უშუალოდ უკავშირდება პედაგოგიური კვალიფიკაციის და კერძოდ დაუსწრებელ პედაგოგიურ განათლების ქსელის ზრდობას. პარტიამ და ხელისუფლებამ გადაუდებელ ამოცანად დაუყენა თვითეულ მასწავლებელს, რომელსაც არ გააჩნია განათლების სათანადო ცენზი, სასკოლო მუშაობისაგან მოუწყვეტლად აიმაღლოს თავისი კვალიფიკაცია.

ამ ლოზუნგმა — დაუსწრებელი პედაგოგიური სწავლების ქსელის გაშლამ—მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა მასწავლებლობაში. თავისთავზე მუშაობა, ცოდნის სისტემატიური შევსება თანდათან იქცევა ჩვენი მასწავლებლების დიდი ნაწილის აუცილებელ მოთხოვნილებად. დღეს დაუსწრებელ პედაგოგიურ სწავლებაში ჩაბმულია დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლების 4.000-მდე მასწავლებელი.

დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის სტაციონალურთან შეერთებამ უდავოდ კარგი ნაყოფი გამოიღო: ამით შესაძლებელი გახდა დაუსწრებელთა მომსახურების გაუმჯობესება. ტფილისში დაუსწრებელ პედინსტიტუტის ფილიალის გახსნამ გააძლიერა ინსტიტუტის კავშირი თავის მსმენელებთან. მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ დაუსწრებელ პედსწავლების დარგში ყველაფერი რიგზე იყოს. ინსტიტუტის და მისი ფილიალის მუშაობაში ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა აღმოფხვრილი პარალელიზმი.

ამის ნიმუშია თუ გინდ ის ფაქტი. რომ ახალი მსმენელებით დაკომპლექტების პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს საკონტროლო ცნობები მიდიოდა, როგორც დაუსწრებელ პედ-ინსტიტუტის, ისე ტფილისის ფილიალიდან; ისე, რომ რაიონებმა არ იცოდენ, თუ უშუალოდ ვის უნდა დაკავშირებოდენ. ამის გამო იყო, რომ გურჯაანის რაიონში, სადაც დაუსწრებელ პედსწავლებაში ისედაც ცუდი მდგომარეობა იყო. ძალზე შეფერხდა ახალი მსმენელების მიღება. ასეთ პარალელიზმს სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო.

სტაციონარული პედაგოგიური ინსტიტუტი ვალდებულია მეტი დახმარება აღმოუჩინოს თავის დაუსწრებელ სექტორს, რასაც სამწუხაროდ დღემდე ვერ ვხედავთ. ოპერატიულ კონკრეტული ხელმძღვანელობა ყოველთვის როდი ახასიათებს დაუსწრებელ პედინსტიტუტის მუშაობას. ამის შედეგი იყო, რომ ხარაგოულის და ზესტაფონის რაიონებში ჩაიშალა შესავალი ლექციები.

ერთერთ მტკივნეულ საკითხად რჩება მსმენელთა სახელმძღვანელოებით მომარაგება. ამ მხრივ ზოგიერთ რაიონში აღმაშფოთებელ ფაქტებთან გვაქვს საქმე. უკვე საგამოცდო სესიები იწყება და მსმენელებს მთელ რიგ საგნებში (ანალიზური გეომეტრია, ფსიქოლოგია, პოლიტეკონომია, რუსული ენა და ლიტერატურა და სხვ.) დღემდე არ აქვთ მიღებული სახელმძღვანელოები. კასპის, გორის და ენუქიძის რაიონების საფოსტო განყოფილებებში დღემდე აწყვია დაუსწრებელთათვის გაგზავნილი გამოუყიდველი წიგნები.

ამის მიზეზია როგორც ინსტიტუტის მოუქნელი მუშაობა, ისე ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციის დაუსწრებელი სწავლებით ნაკლები დაინტერესება. იმ რაიონებში, სადაც მასწავლებლებზე ზრუნვა, მისთვის ხელფასის დროულად მიცემა ყურადღების ცენტრშია მოქცეული, იქ წიგნების გამოსყიდვაც შეუფერხებლად მიმდინარეობს. შემთხვევითი როდია, რომ ენუქიძის რაიონში, სადაც მასწავლებელთა ხელფასის დავალიანება 200.000 მანეთს უდრის. დაუსწრებელებმა ვერ გამოისყიდეს წიგნები. ასეთივე მდგომარეობაა გორის და კასპის რაიონებშიც. ადგილი აქვს აგრეთვე წიგნების, განაკვეთების, გეგმების და პროგრამების შეფერხებით და დაგვიანებით გაგზავნას. ბევრი სახელმძღვანელო, რომელსაც საჭიროებს დაუსწრებელი, სტამბებში აწყვია და მათი გამოყიდვა არ ხდება.

ამ მდგომარეობის გაგრძელება არ შეიძლება. წიგნების, მეთოდური დარიგებების და პროგრამების თავის დროზე მიუწოდებლად ფიქციაა ლაპარაკი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. განსახკომმა და ინსტიტუტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ დაუსწრებელთათვის წიგნების შეუფერხებლივ მისაწოდებლად.

მაგრამ არ კმარა მსმენელების მარტო სახელმძღვანელოებით მომარაგება. საჭიროა გეგმიანი, სისტემატიური კონსულტაციები და შესავალი ლექციები. კონსულტაციები დღემდე შემთხვევით და არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. კონსულტაციებში ფართოდ უნდა ჩავაბათ კვალიფიციური მეცნიერული ძალები. ადგილებზე უნდა გაჯანსაღდეს საკონსულტაციო და მეთოდბაზების მუშაობა, რისთვისაც შეიძლება ვისარგებლოთ საშუალო და საბაზო სკოლების კაბინეტებით. ლაბორატორიებით და ბიბლიოთეკებით სწავლებაში წარჩინებულთა მიმართ გამოყენებული უნდა იქნას წამახალისებელი ზომები (ჯილდოები, უფრო მაღალი საფეხურის სკოლაში გადაყვანა და სხვ.).

რაიონული ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან თვითეული დაუსწრებელის ნორმალური მუშაობისათვის. დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულთ უნდა შეექმნას მუშაობის საუკეთესო პირობები. ისინი უნდა იქნან განტვირთული ზედმეტ საზოგადოებრივ დავალებებისაგან და მიეცეთ სწავლისთვის დრო— დეკადაში ოთხი თავისუფალი საღამო, გარდა გამოსასვლელი დღისა. ეს განუხრელად უნდა შეასრულოს თვითეულმა რაიონმა.

საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება

ლავალი ჩავიდა რომში

რომი, 5 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ცნობით 5 იანვარს რომში ჩავიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავალი. სადგურზე მას შეხვდენ მთავრობის მეთაური მუსოლინი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საფრანგეთის ელჩი, რომის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები და საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელენი.

საფრანგეთის პრესის კომენტარიები

პარიზი 5 იანვარი, საფრანგეთის პრესის ცნობები იტალიაში ლავალის ყოფნის პირველი დღის შესახებ ფრიად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს.

ჰავასის სააგენტო და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთები ლაპარაკობენ განსაკუთრებულ მიღებაზე, მრავალ ათეულ ათას ადამიანზე, რომლებიც რომში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეეგებენ და მიესალმენ. პერტინაქსი კი "ეკო დე პარიში", პირიქით, აღნიშნავს, რომ მიღება ფრიად თავშეკავებული იყო.

მაგრამ, უეჭველია, რომ იტალიის მთავრობა ფრიად მოხარულია ამ დარბაზობის და აფასებს მას, პოლიტიკური შედეგების დამოუკიდებლადაც კი, როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც აკმაყოფილებს იტალიის, როგორც დიდ სახელმწიფოს პრესტიჟს.

ტაბუი წერს „ევრში", რომ იტალიაში ნამდვილ შეშფოთებას იწვევს გერმანიის შეიარაღება და სამხრეთ-სლავიაში გერმანიის გავლენის გაძლიერების მუქარა. ამიტომ გაუარესდა დამოკიდებულება გერმანიასთან.

„ევრის" ცნობებით, ლავალი და მუსოლინი არ განიხილავენ საფრანგეთ-იტალიის მომზადებულ ოქმს, რამდენადაც ამაზე წინასწარ არიან შეთანხმებული. მათ მსჯელობა ექნებათ შემდგომ პროცედურასა და მოლაპარაკებაზე, რასაც ამჟამად ექცევა მთავარი ყურადღება.

ეხება რა ოქმს, რომელიც რომში ხელმოწერილი იქნება, იგივე გაზეთი აღნიშნავს, რომ ნეიტრალიტეტის და თავდაუსხმელობის პრინციპი უკვე საკმარისია, განსაკუთრებით ცენტრალური ევროპის მიმართ, და რომ ახლა იქმნება თავდაუსხმელობის ახალი ფორმულა. ამ ფორმულამ ხელი უნდა შეუშალოს გერმანიას—არა თუ აშკარად დაესხას თავზე ავსტრიას, არამედ მოამზადოს ნაციონალისტური აჯანყება ავსტრიის შიგნით.

პერტინაქსი „ეკო დე პარიში" წინანდებურად პესიმისტურად აფასებს რომის მოლაპარაკების პერსპექტივებს.

„პარი მიდი" იტყობინება, რომ მუსოლინი დღეს ლავალს შესთავაზებს ფართო გეგმას, რომელიც ეხება აღმოსავლეთის პაქტს, რ. თ. „საბჭოთა კავშირი, პოლონეთი. გერმანია და ჩეხო-სლოვაკია გაერთიანებული იქნას არამარტო პრინციპული მონაწილეობით პაქტში, არამედ მჭიდროდ თანამშრომლობითაც".

როგორც „პარი მიდი" წერს, მუსოლინიმ უკვე გადადგა ზოგიერთი ნაბიჯი ლონდონსა, ვარშავასა, მოსკოვსა და, შესაძლოა, ბერლინშიც, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ მიუღია.

(რაც შეეხება მოსკოვს, საქმეს გაცნობილ მოსკოველ წრეებში ამაზე არაფერი იციან. საკ. დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა).

„მშვიდობიანობა შენარჩუნებული და გამტკიცებული უნდა იქნას"

რომი, 6 იანვარი. გუშინ საღამოს ვენეციურ სასახლეში მუსოლინიმ გამართა სადილი ლავალის პატივსაცემად. მუსოლინიმ, მიმართა რა ლავალს სიტყვით, თქვა:

„თქვენი მგზავრობა მოწმობს იტალია-საფრანგეთის კონკრეტულ დაახლოვებას, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახასიათებდა პოლიტიკას, რომელსაც ერთი მხრივ, ატარებდით თქვენი შესანიშნავი წინამორბედი და თქვენ, ხოლო მეორე მხრივ—ვატარებდი მე საერთო მიზნების მისაღწევად. რომლებიც სცილდებიან იტალია-საფრანგეთის ურთიერთობის სფეროს და რომელთაც აქვთ უფრო ფართო ევროპიული მნიშვნელობა".

მუსოლინიმ განაცხადა, რომ ლავალთან შეხვედრა „ადასტურებს ზოგიერთ საერთო პრინციპს, რომლებითაც ყოველთვის ხელმძღვანელობდა იტალიის პოლიტიკა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში".

„ლაპარაკია არა იმაზე,—განაგრძობს იგი,—რომ, რამდენადაც საქმე ცენტრალურ ევროპას ეხება, ფარყოთ სათანადო მეგობრული ურთიერთობა ევროპულ ქვეყნებთან ლაპარაკია იმაზე, რომ. ყველა ქვეყნის ინტერესები და არსებითი საჭიროებანი დუნაის ბასეინში შევათანხმოთ საერთო მოთხოვნებთან ევროპის დამშვიდების მიზნით".

მუსოლინიმ შემდეგ აღნიშნა, რომ შეთანხმება საფრანგეთისა და იტალიას შორის არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მიმართული სხვა ქვეყნების წინააღმდეგ და გამომრიცხველი სხვა ქვეყნებისა, რომელთაც კი სურთ ითანამშრომლონ იტალიასა და საფრანგეთთან.

საპასუხო სიტყვაში ლავალმა განაცხადა, რომ იტალიის და საფრანგეთის შეთანხმება აუცილებელია ორივე ქვეყნის კეთილდღეობისა და საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებისათვის.

„დღეს, — თქვა ლავალმა, —თქვენ უნდა მოგესმინათ ჩემი გამოჩენილი წინამორბედის ხმა. მღელვარებით ვიგონებ იმას. ვინც დაეცა, ემსახურებოდა რა ჩვენს გაერთიანებულ კეთილშობილ საქმეს".

„ჩვენ, —აღნიშნა შემდეგ ლავალმა. — მოვისურვეთ მოგვეწესრიგებინა ის საკითხები, რომლებიც ჩვენ გვეხება. ჩვენ მოვისურვეთ აგრეთვე დაგვემყარებინა საერთო პოლიტიკის მთავარ პრობლემებზე ჩვენი შეხედულებების ჰარმონია. მსოფლიო დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალყურს ჩვენს ღონისძიებებს".

„მე,—განაცხადა შემდეგ ლავალმა,— ვლაპარაკობ საფრანგეთის სახელით. რომელიც არავითარ ეგოისტურ მიზნებს არ ისახავს. საფრანგეთს აქვს კანონიერი—საზრუნავი თავის უშიშროებაზე, მაგრამ იგი აპირებს მიიღოს სათანადო მონაწილეობა ხალხთა შერიგების აუცილებელ საქმეში".

ლავალმა აღნიშნა. რომ ამ ცოტა ხნის წინათ ჟენევაში თავიდან აცილებულ იქნა კონფლიქტების საშიშროება. მაგრამ მშვიდობიანობა მაინც არ არის მტკიცე და „მოითხოვს ჩვენს ყურადღებით ზრუნვას".

დასასრულ, ლავალმა კვლავ აღნიშნა განსაკუთრებით, რომ მშვიდობიანობა შენარჩუნებული და განმტკიცებული უნდა იქნას" (ტას).

რუზველტის მიმართვა

ვაშინგტონი, 7 იანვარი. კონგრესის სესიაზე რუზველტმა პირადად გამოაქვეყნა ჩვეულებრივი საპრეზიდენტო მიმართვა:

„ვეხებით რა საერთაშორისო საქმეებს, განაცხადა მან, მე არ შემიძლია მთელი გულწრფელობით გითხრათ, რომ საერთაშორისო ურთიერთობა ჩვენი საზღვრების ფარგლებს იქით გაუმჯობესდა. ზედაპირზე ამოტივტივდა ბევრი ძველი ანტიპატია, თავი იჩინა ძველმა ვნებათა ღელვამ. მუქარით წამოყო თავი არამარტო ერთ ქვეყანაში შეიარაღების და გაბატონების ახალმა ტენდენციებმა".

რუზველტის აზრით, დამშვიდებული რჩევა-დარიგება და შემოქმედებითი ხელმძღვანელობა კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს და შექმნის პირობებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ისეთი ახალი და უფრო მიზანშეწონილი ფორმებისათვის მთელს მსოფლიოში, რომლის დროს უფრო ნაკლებ ადგილს დაიკავებს პრივილეგიები და უფრო მეტ ადგილს—ხალხის კეთილდღეობა.

„საერთაშორისო მშვიდობიანობის შენარჩუნება ეს ის საქმეა, რომელიც ჩვენი ღრმა და უანგარო მზრუნველობის საგანს შეადგენს,—განაგრძობს რუზველტი...

არ არსებობს საფუძველი შიშისთვის, რომ ჩვენს ურთიერთობას რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან არ შეიძლება მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდეს. ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს აგრეთვე იმაში, რომ ხალხთა უმრავლესობა ცდილობს განთავისუფლდეს იმ ყალბ თეორიასთან დაკავშირებულ საშიშროებასა და ტერორისაგან, რომლის თანახმად გადამეტებული შეიარაღება არ შეიძლება შემცირებულ და შეზღუდულ იქნას საერთაშორისო შეთანხმების გზით".

შეეხო რა საშინაო საქმეებს, რუზველტმა განაცხადა: „ჩვენ განვიზრახეთ ახალი წეს-წყობილების შექმნა. მაგრამ ამ წყობილებისაკენ ჩვენ მივდივართ კონსტიტუციის ფარგლებში და მის საფუძველზე. ჩვენ გავიარეთ ერთი ნაწილი გზისა ახალ წყობილებისაკენ. შემიძლია აღვნიშნო, რომ ხელსაყრელმა პირობებმა, რომლითაც სარგებლობს ჩვენი სასოფლო - სამეურნეო მოსახლეობა, გამოიწვია სამრეწველო წარმოების და ჩვენი ვაჭრობის მოგებათა ზრდა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ნდობის ატმოსფეროს აღდგენას, რომლითაც განირჩევა ამერიკელთა „ხასიათი".

„ცვლილება, — განაგრძობს რუზველტი,— დღის წესრიგში დგას მთელს მსოფლიოში. ნაციონალურმა ეკონომიურმა პრობლემებმა გამოიწვია მრავალნაირი კრიზისები, რომლებისთვისაც არ არიან მომზადებულნი წინანდელი პრაქტიკის და თეორიის მოღვაწენი. ერთა უმრავლესობისათვის სოციალური სამართლიანობა უკვე აღარ წარმოადგენს შორეულ იდეალს, იგი გარკვეულ მიზნად იქცევა და ძველი მთავრობები იწყებენ ამ მოწოდებაზე გამოხმაურებას. ამავე დროს, ამერიკის ხალხი არ არის განმარტოებული თავის მისწრაფებაში შეცვალოს არსებული მდგომარეობა ჩვენ იქითკენ მივისწრაფვით ნაცადი ლიბერალური ტრადიციების დახმარებით, იმ პროცესების დახმარებით, რომელთა მიმდინარეობაში ვინარჩუნებთ წარმომადგენლობითი ხელისუფლების რესპუბლიკური ფორმის არსებით მომენტებს".

შემდეგ რუზველტმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას აწუხებს ძველი უთანასწორობა. შეუხედავად ყოველგვარი ღონისძიებისა. ზეპრივილეგიური ელემენტები არ არიან აღმოფხვრილი. იმათი მდგომარეობა, ვინც პრივილეგიებს მოკლებულია, რამდენადმე საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა.

რუზველტმა აღნიშნა, რომ მთავრობის უპირველესი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა და რომ რამდენიმე დღეში იგი კონგრესს წარუდგენს მიმართვას, რომელიც შეიცავს წინადადებებს უმუშევრობის და მოხუცებულობის გამო დაზღვევის შესახებ.

„გარკვეულ ფაქტად რჩება,—სთქვა მან, —რომ დიდძალ ხალხს წინანდებურად არ გააჩნია სამუშაო, უმუშევართა საგრძნობი ნაწილი ამჟამად ირიცხება დახმარების მიმღებთა სიებში. ისტორიის გაკვეთილები დამაჯერებლად გვეუბნება, რომ დახმარებისაგან დამოკიდებულება იწვევს სულიერ და მორალურ დაქვეითებას და ხრწნის ნაციონალურ ხასიათს. დახმარების სისტემა ეწინააღმდეგება საღ პოლიტიკას და არღვევს ამერიკის ტრადიციებს".

რუზველტი წინადადებას იძლევა გადაისინჯოს პოლიტიკა 5 მილიონი უმუშევრის მიმართ, რომლებიც ახლა მთავრობის დახმარებით სარგებლობენ, მოეწყოს მათთვის საზოგადოებრივი სამუშაოები და სხვ.

დასასრულ, რუზველტმა განაცხადა, რომ „გასულმა წელმა უფრო მეტი მოგება მოგვიტანა, ვიდრე წაგება", და გამოთქვა იმედი, რომ 1935 წელს შემდგომ წარმატებებს მივაღწევთ. (ტას).

კვანტუნის არმიის გენერალური შტაბის ოფიცერთა თათბირი

ტოკიო, 7 იანვარი. დაირენში 4 იანვარს გაიმართა კვანტუნის არმიის (იაპონიის საოკუპაციო არმია მანჯურიაში) გენერალური შტაბის ოფიცერთა თათბირი. თათბირში მონაწილეობას იღებდენ კვანტუნის არმიის შტაბის უფროსის ახლად დანიშნული მოადგილე გენერალ-მაიორი იტაგაკი, იაპონიის სამხედრო მისიის უფროსი მუკდენში და დაირენში გენერალი დოიხარა, კვანტუნის არმიის შტაბის მთელი რიგი ხელმძღვანელი მოღვაწენი. იაპონიის სამხედრო ატაშეები პეკინში, ტიანძინში, შანხაიში და ჩინეთის მთელი რიგი ქალაქების იაპონელი სამხედრო რეზიდენტები.

სიმბუნ რენგოს სააგენტოს სიტყვით, თათბირი სწავლობდა იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის საკითხებს თათბირს, წერს სააგენტო. დიდი მნიშვნელობა ეძლევა იაპონიის პოლიტიკისათვის ჩინეთში და კერძოდ ჩრდილოეთ ჩინეთში.

გაზეთი „ასახი" აღნიშნავს, რომ თათბირმა გადასწყვიტა დაიწყოს ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკება ჩინეთსა და მანჯოუგოს შორის პირდაპირი სატელეფონო რადიოკავშირის დამყარებისა და საჰაერო ხაზის მოწყობის შესახებ.

დეიმეი ცუსინის სააგენტოს ჩინეთის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ რამდენადაც კონფერენცია მოწვეულია უშუალოდ გენერალ მინამის (იაპონიის ახალი ელჩი და იაპონიის საოკუპაციო არმიის მთავარსარდალი მანჯოუგოში) და გენერალ-მაიორ იტაგაკის დანიშვნის შემდეგ, კონფერენცია, როგორც ჩანს. გასინჯავს იაპონიის საერთო პოლიტიკას ჩინეთის მიმართ მით უმეტეს, რომ კვანტუნის არმია, წერს კორესპონდენტი, „უკმაყოფილოა ნანკინის მთავრობის მოქმედებით უკანასკნელ თვეებში და ფიქრობს, რომ საერთოდ ჩინეთის ხელისუფლება სისტემატიურად არღვევს ტანგუში დადებული დროებითი ზავის (ჩინეთ-იაპონიის 1933 წლ. 31 მაისის შეთანხმება) პირობებს" (ტას).

„მოგვეცით პური და სამუშაო"

პარიზი, 4 იანვარი. სიტროენის საავტომობილო ქარხნების კრახის გამო დათხოვნილ 18 ათასი მუშიდან გუშინ იმ ქარხნებში, რომლებმაც ნაწილობრივ განაახლეს მუშაობა, ოფიციალური ცნობებით, მიღებულია სულ 2570 მუშა; 3 ათასი მუშა საბოლოოდ დაითხოვეს.

სიტროენის ქარხნების კარებთან გაიმართა დათხოვნილ მუშათა მიტინგები. ქარხნებს იცავენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. დემონსტრაციის დროს გადმოსროლილ იქნა ლოზუნგები: „გაუმარჯოს წითელ ფრონტს", „ჩასვით სიტროენი საპატიმროში", „მოგვეცით პური და სამუშაო" (ტას).

საბჭოთა კავშირში

მოსკოვის ოლქის საბჭოების ყრილობის დელეგატის პირველი მანდატი გამოწერილია ამხ. სტალინის სახელზე

მოსკოვი, 5 იანვარი. 5 იანვარს მოსკოვის საბჭომ დაიწყო მანდატების გაცემა მოსკოვის ოლქის საბჭოების ყრილობის დელეგატებისათვის. მოსკოვის ოლქის საბჭოების ყრილობის დელეგატის პირველი მანდატი გამოწერილია პარტიის და ყველა მშრომელების ბელადის ამხანაგ სტალინის სახელზე (ტას).

ამუშავდა „აზოვსტალის" პირველი 250 ტონიანი მოქანავე მარტენის ღუმელი

მარიუპოლი, 5 იანვარი. 4 იანვარს ამუშავდა „აზოვსტალის" პირველი 250 ტონიანი მოქანავე მარტენის ღუმელი. გამოშვებულია პირველი ნადნობი—100 ტონაზე მეტი ფოლადი. „აზოვსტალი" დღეში უკვე იძლევა 400 ტონა ფოლადს. ასეთია პირველი მარტენის პროგრამა.

ამ ღუმელის ამუშავებით იწყება „აზოვსტალის" პირველი მეტალურგიული ციკლის დამთავრება. მთელი გენერალური პროექტი ითვალისწინებს 7 ბრძმედის ღუმელის (ორი უკვე მოქმედებს) და 12 მოქანავე მარტენის ღუმელის აგებას, რომლებიც წლიურად საერთოდ გამოუშვებენ 1.300.000 ტონა ფოლადს. პროექტის მიხედვით აგებულ უნდა იქნას აგრეთვე წლიურად 1.200.000 ტონა ფოლადისათვის ნავარაუდევი 6 კონვერტორი და სარელსო და ხარისხოვანი ფოლადების ორი ბლუმინგი, რომელიც გამოუშვებს 1.450 ათას ტონას.

წლის პირველ ნახევარში უნდა ამუშავდეს პირველი ციკლის ორი მოქანავე მარტენის ღუმელი, ამან „აზოვსტალი" უნდა გადააქციოს უდიდეს მეტალურგიულ საწარმოდ, რომელიც მოგვცემს თუჯს, ფოლადს და ტკეცილს (ტას).



სამშენებლო მექანიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი კიევში ამჟამად ამუშავებს მთელ რიგ პრობლემებს, როგორიც არის: „ლითონების და ხის გამძლეობა", „ნაქვაბი რკინის მუშაობა", გემების კორპუსების სიმტკიცე" და სხვ.

სურათზე: ხის გამძლეობის გამომრკვევი მანქანა ავტომატიური ელექტრომოწყობილობით.

საორთქლმავლო ბრიგადების ხელფასის გადიდება

მოსკოვი, 6 იანვარი. გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებით, მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან საორთქლმავლო ბრიგადებს (მემანქანეებს, მემანქანის თანაშემწეებს და ცეცხლფარეშებს) ხელფასი უდიდდებათ საშუალოდ 28 პროცენტით. შრომის ხელფასის ანაზღაურების მიხედვით მემანქანეები იყოფიან 4 კლასად კვალიფიკაციის თანახმად, ხოლო მემანქანეთა თანაშემწეები—3 კლასად. ხელფასის გადიდება წარმოებს მემანქანეთა ხარისხის და დეპოს კატეგორიების მიხედვით.

ყველა საორთქლმავლო დეპო სამგზავრო და სატვირთო მუშაობის მიხედვით იყოფა 3 კატეგორიად, საგარეუბნო და სამანევრო —2 კატეგორიად.

მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან შემოღებული იქნება ერთიანი სანგარიშო წიგნაკი საორთქლმავლო ბრიგადებისათვის (ტას).

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობა

გაიხსნება ქალაქ ტფილისში, იანვრის 10-ს,
საღამოს 6 საათზე,
რუსთაველის სახელობის თეატრის დარბაზში.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ-ის მთავრობის ანგარიში.
(მომხს. ამხ. გ. მგალობლიშვილი)
2. მოხსენება კოლხიდის მშენებლობის შესახებ.
(მომხს. ამხ. გ. გოგია)
3. მოხსენება განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.
(მომხს. ამხ. ა. თათარიშვილი)
4. მოხსენება საკონსტიტუციო საკითხების შესახებ.
(მომხს. ამხ. თ. ჟღენტი).
5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.
6. დელეგატების არჩევა ამიერ-კავკასიის და საკავშირო საბჭოების ყრილობებზე.

ყრილობის პარტჯგუფის სხდომა შესდგება იქვე იანვრის 10-ს, საღამოს 5 საათზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრ.
კომიტეტის მდივანი—თ. ჟღენტი.

გაიხსნა ორდენოსანი მოსკოვის ოლქის საბჭოების მე-3 ყრილობა

მოსკოვი, 7 იანვარი. კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზი სავსეა დელეგატებით. 12 საათსა და 45 წუთზე ტაშის გრიალი ფარავს დარბაზის მრავალხმიან გუგუნს პრეზიდიუმის მაგიდასთან მიდიან ამხ. კაგანოვიჩი, ფილატოვი, ენუქიძე, ხრუშჩოვი, მიხაილოვი, ბულგანინი, ბუდიონი, ბეკლიჩევი, გუბერმანი.

მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ფილატოვის პირველი სიტყვა მიძღვნილია ამხ. სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის—მუშათა კლასის მტრის ხელით განგმირულ სერგეი მირონის ძე კიროვის ნათელ ხსოვნისადმი.

ამხ. ფილატოვის სიტყვის შემდეგ, ყრილობა მთელი რიგი დელეგაციების წინადადებით ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს. როცა გაისმის მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ბელადის— დიდი სტალინის სახელი, რომელიც არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ყველა დელეგატი ფეხზე დგება და ხანგრძლივ მქუხარე ოვაციას მართავს.

შემდეგ საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნენ ამხ. კაგანოვიჩი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, კოსიორი, ანდრეევი, მიქოიანი, პოსტიშევი, ჩუბარი, პეტროვსკი, რუძუტაკი, ჟდანოვი და სულიმოვი.

ყრილობის პრეზიდიუმში ირჩევენ 100 ამხანაგს.

ყრილობას მიესალმა „ელექტრო-კომბინატის" მუშათა დელეგაცია და მთელი რიგი სხვა ფაბრიკა-ქარხნების დელეგაციები.

შემდეგ ამტკიცებენ ყრილობის დღის წესრიგს და მუშაობის რეგლამენტს. ღებულობენ შემდეგ დღის წესრიგს:

1. მთავრობის მოხსენება (ამხ. კუიბიშევი).
2. მოსკოვის საოლქო აღმასკომის საანგარიშო მოხსენება (ამხ. ფილატოვი). თანამოხსენება მოსკოვის ოლქის მეორე ხუთწლედის შესახებ (ამხ. გუბერმანი).
3. ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა მოსკოვის ოლქში (ამხ. ბოლდირევი).
4. ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის და შინამრეწველური კოოპერაციის განსამტკიცებლად (ამხ. ივანოვი, თანამომხსენებლები—ამხ. კოლდობსკი და პოპოვი).
5. მოსკოვის საოლქო აღმასკომის არჩევნები.
6. სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

ჩეხო-სლოვაკიის ჟურნალისტები საბჭოთა კავშირის შესახებ

ლენინგრადი, 5 იანვარი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ჩეხო - სლოვაკიის პრესის წარმომადგენელთა დელეგაციის თავმჯდომარე გუბერტ რიპკამ განაცხადა:

— პირველად ჩვენ დავისახეთ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის გაცილებით უფრო მოკლე მარშრუტი, მაგრამ, როდესაც მოსკოვში, აღმოვჩნდით, ჩვენ მივხვდით, რომ ამ დროის განმავლობაში არ შეიძლება თუნდაც ზოგადად საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან მიღწევების გაცნობა, აი რატომ გადავწყვიტეთ ჩვენ გაგვეხანგრძლივებინა ჩვენი ყოფნის დრო, გვემოგზაურა სამხრეთში დნეპრომშენზე, კიევში და ხარკოვში იმ ანგარიშით, რომ დავბრუნდეთ პრაგაში 16 იანვრისათვის.

საბჭოთა კავშირში ჩვენი ყოფნის უკვე პირველ კვირაში ჩვენ გავეცანით საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს, რომელთაც საზღვარგარეთ ჯერ კიდევ ვერ აძლევენ სათანადო შეფასებას. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენი მიღწევები კულტურის დარგში. ჩვენში ჩეხო - სლოვაკიაში, გადმოთარგმნილია ბევრი საბჭოთა წიგნი, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ ღრმად იჭრება საბჭოთა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება ხალხის მასებში.

აღფრთოვანებით დავათვალიერეთ ჩვენ მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკი, მოსკოვის და ლენინგრადის მუზეუმები, ვეცნობოდით თეატრალურ ცხოვრებას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ბავშვებისადმი საყოველთაო ზრუნვამ, რომელთა ჯანსაღი და მხიარული გამომეტყველება წარმოადგენს ქვეყნის კეთილდღეობის და მისი ნათელი მომავლის საუკეთესო დადასტურებას.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩეხო - სლოვაკიის ჟურნალისტების მოგზაურობა მოიტანს სარგებლობას ორივე ქვეყნის დაახლოების საქმეს, და იმ მშვიდობიანობის საქმეს, რომლისთვისაც იბრძვის საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც სავსებით მხარს უჭერს ჩეხო - სლოვაკიის საზოგადოებრიობა (ტას).

აჭარისტანის საბჭ. მე-11 ყრილობა

ბათომი, 7 იანვარი. ყრილობის 6 იანვრის დილის სხდომა მოუნდა მთავრობის ანგარიშის მოხსენებას. აჭარისტანის ცაკ-ის თავმჯდომარის ამხ. ზექერია ლორთქიფანიძის საანგარიშო მოხსენების გამო გაიშალა გაცხოველებული კამათი. 64 ჩაწერილი დელეგატიდან 6 იანვრის და 7 იანვრის დილის სხდომაზე უკვე გამოვიდა 20-ზე მეტი კაცი.

ტრიბუნაზე ერთი-მეორის ცვლით წარჩინებული კოლმეურნეები ციტრუსოვანი კულტურების გამშენებელნი, მეჩაიე და მეთამბაქოენი.

საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ინტელიგენციის, სტუდენტობის და სხვათა მრავალრიცხოვანი დელეგაციები ყრილობის წინაშე გამოდიან თავის გამარჯვებათა პატაკებით.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშების სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. რუდაკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის მოკრეფის გეგმა.

საზღვაო ლეგიონის მებრძოლები აჭარისტანის ცაკს უპატაკებენ საბრძოლო მომზადების წარმატებით დამთავრებას „ფრიად [illegible]" ყველა მეცნიერების მხრივ.

★

7 იანვარს, მთავრობის ანგარიშის გამო კამათის დამთავრების შემდეგ, ყრილობის პატივსაცემად საზეიმო პირობებში გაიხსნა აჭარისტანის სახალხო ხელოვნების ოლიმპიადა.

პირველ საღამოზე მოხდა მონაწილეების, მათ შორის აჭარისტანის აკადემიური გუნდის საუკეთესო გამოსვლები.

ოლიმპიადა გასტანს 4 დღეს. ოლიმპიადაში მონაწილეობს 500 კაცი (ტას).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

ღონისძიებები ტფილისის რეკონსტრუქციისათვის

მოსკოვი, 5 იანვარი. 1935 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტფილისის შემდგომ მშენებლობას, მის რეკონსტრუქციას. როგორც თქვენს კორესპონდენტს ა.-ფ. წარმომადგენლობაში განუცხადეს გაღებულია დიდი თანხები, რომლებიც უნდა მოხმარდეს სანაპირო ქუჩების მშენებლობას, ქალაქის ტრამვაის სრულ რეკონსტრუქციას, წყალსადენის ქსელის გაუმჯობესებას, ქალაქის შემდგომ გამწვანებას. ყველა ეს სამუშაო ჩატარდება მიმდინარე წელს.

„ვეფხის ტყაოსნის" ხელთნაწერი გამოიგზავნა ტფილისში

მოსკოვი, 5 იანვარი, ლენინგრადიდან მოსკოვში მოიტანეს შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის" ახალი ხელნაწერი, რომელიც ნაპოვნია მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ - არქეოლოგიურ ინსტიტუტში. ეს ხელნაწერი ეკუთვნის მე-15 საუკუნეს, დაწერილია ქართულ ენაზე და იგი ჯერ არავის გამოუკვლევია. ხელნაწერი წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-ლიტერატურულ ღირებულებას. იგი აღმოჩენილია რუსთაველის ინსტიტუტის თანამშრომლის ამხ. დუდუჩავას და ა.-კ. წარმომადგენლობის (მოსკოვში) თანამშრომლის ლეკიშვილის მიერ. ეს ძვირფასი განძი ხვალ იგზავნება ტფილისში.

სასკოლო შენობათა მშენებლობის კომისია

მოსკოვი, 5 იანვარი. მოსკოვში ამჟამად შეიქმნა სასკოლო შენობათა მშენებლობის კომისია, რომელიც შეუდგა სასკოლო ტერიტორიის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებას. პირველ რიგში განზრახულია მოისპოს სკოლაში მეცადინეობა მესამე ცვლაში. კომისიაში შევიდენ სხვადასხვა რესპუბლიკათა წარმომადგენლები. საქართველოს წარმომადგენლად არის საქ. განსახკომის მოადგილე ამხ. გორდელაძე.

ფრესკების გამოფენა ხელოვნების მუზეუმში

მოსკოვი, 5 იანვარი. სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მხატვარი ქალის ტოლმაჩევსკაიას ნამუშევარი ფრესკების გამოფენა. გამოფენა შედგენილია კედლის მხატვრობის ძველი რუსული და ქართული ძეგლების მთელი რიგი ასლებისაგან, რომლებიც ეკუთვნიან ისტორიის პერიოდს მე-[illegible]-დან მეჩვიდმეტე საუკუნემდე. ძეგლებს შორის არის რამდენიმე მონუმენტალური საპორტრეტო ფრესკები. გამოფენაზე მოცემულია ფრესკული მხატვრობის განვითარების სხვადასხვა ეტაპების ნიმუშები, აგრეთვე ზოგიერთი ტიპიური მაგალითები იმ თემატიური კომპოზიციური ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ამ ხელოვნებაში შეცვლილი სოციალურ-პოლიტიკური პირობების ზეგავლენით.

რემონტი ჭიანურდება ცოცხალ ადამიანებისადმი უყურადღებობით

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გორის მტს-ის სახელოსნოს კანტორაში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას იპყრობს ხაზებით დასერილი, ქაღალდის მოზრდილი ფურცელი, რომლის ფონზეც მკვეთრად მოსჩანს წარწერები: „ტრაქტორების რემონტის გეგმა“; ქვევით კი ჩამოწერილია ბრიგადირების, მექანიკოსების და სხვა მომუშავეთა გვარები, ტრაქტორების ნომრები (სისტემის აღნიშვნით), შეკეთების დაწყებისა და დამთავრების დრო — თვე და რიცხვი. გეგმის შედგენისას არ გამორჩენიათ ტრაქტორების შეკეთებაზე ფაქტიურად დახარჯული დროის მაჩვენებელი „გრაფიკებიც“.

ერთი სიტყვით, გეგმა შედგენილია ყველა წესის დაცვით.

— ტრაქტორების შეკეთების გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალება 84 პროცენტით შევასრულეთ. — 25 ტრაქტორის ნაცვლად შევაკეთეთ 21-ი — ამბობს სახელოსნოს გამგე ამხ. ლ. ხარატიშვილი.

სახელოსნოში ჩამოყალიბებულ 4 სარემონტო ბრიგადიდან მუშაობას დროზე შეუდგა მხოლოდ პირველი ბრიგადა. დანარჩენმა სამმა ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული ყველა ვადა დაარღვია. მაგ. მესამე ბრიგადას (ხელმძღვანელი ქორჩაშვილი) მუშაობა 15 ნოემბრიდან უნდა დაეწყო, ფაქტიურად ტრაქტორების შეკეთებას ხელი მოჰკიდა 10 დღის დაგვიანებით; მეოთხე ბრიგადა (ხელმძღვანელი აბუაშვილი), 25 ნოემბრის ნაცვლად, მუშაობას მხოლოდ 7 დეკემბრიდან შეუდგა.

მუშაობის დაგვიანებით დაწყება, ბრიგადების არა თავის დროზე დაკომპლექტება, სათადარიგო ნაწილების მოუმარაგებლობა, სახელოსნოს მუშების ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები პლიუს მტს-ის დირექციის უნიათო ხელმძღვანელობა — აი მეოთხე კვარტალის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი.

რას უნდა მიეწეროს, თუ არა ღრმა ოპორტუნისტულ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ის, რომ პირველმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ქისიშვილი), ტრაქტორი № 177Რ3-ს კაპიტალურ შეკეთებას 20 დღე მოანდომა — იმ დროს, როცა გეგმის მიხედვით — ეს სამუშაო 8 დღეში უნდა დამთავრებულიყო. მეორე ბრიგადამ ერთი ტრაქტორის კაპიტალურ შეკეთებაზე 21 დღე იმუშავა.

აღნიშნულ ბრიგადის ტრაქტორების სამი ღერძი, რომლებიც ტფილისის სახელოსნომ დროზე შეაკეთა, მტს-ის დირექციამ დაგვიანებით გამოისყიდა. ამის გამო ბრიგადა 5—6 დღე გაჩერებული იყო. ბაბიტისა და დეზების უქონლობის გამო რამოდენიმე დღე გაცდა აგრეთვე პირველი ბრიგადა.

სახელოსნოს მიერ შეკეთებულ 21 ტრაქტორიდან გეგმაში მხოლოდ 4 ტრაქტორზე ამოიკითხავთ ცნობას იმის შესახებ, თუ რომელ რიცხვებში დაიწყეს და დაამთავრეს შეკეთება. 17 ტრაქტორზე კი გეგმაში არაფერია აღნიშნული „გრაფიკები“ ცარიელია.

ამრიგად კანტორაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულ გეგმას ყურადღებას არავინ აქცევს. სახელოსნოს სხვა გეგმა არ მოეპოვება, არც მუშაო გეგმები არც ბრიგადებს აქვთ მიცემული. ყველა თვითდინებით მუშაობს. ბრიგადებს შორის დიდი ხმაურით დაწყებული სოცშეჯიბრება, დავიწყებას მიეცა.

ტრაქტორების შეკეთებას დიდად უშლის ხელს სახელოსნოს მოუწყობლობა, სივიწროვე. სამი ბრიგადა ერთ პატარა შენობაში მუშაობს. ხელოსნები ერთმანეთს ფეხებში ედებიან, არ მოეპოვებათ ტრაქტორების ნაწილების დასალაგებელი ადგილი და სხვ.

*

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოუგვარებელია სახელოსნოს მუშების, განსაკუთრებით რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტების საყოფაცხოვრებო პირობები. მტს-ის სამეურნეო ნაწილის გამგე ნ. მარღიშვილი ტრაქტორისტებისადმი აშკარა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს. 20-ზე მეტი ტრაქტორისტი მოთავსებულია ერთ ოთახში. სადაც ღამე პატარა ლამფა ბჟუტავს. იქ ისე ბნელა. რომ ტრაქტორისტები ერთმანეთს ძლივს არჩევენ, დილით ერთი მეორის ტანსაცმელს იცვამენ.

— მუშაობის შემდეგ გვინდა წიგნი, ან გაზეთები წავიკითხოთ, სხვადასხვა საკითხებზე მოვისმინოთ საუბრები, მაგრამ სიბნელის გამო ვერაფერი ვერ მოვახერხეთ — აი ასეთ საყვედურს გამოსთქვამენ ტრაქტორისტები.

ტრაქტორისტებს გრძელ ფიცრებისაგან, უხეიროდ გაკეთებულ ტახტზე სძინავთ. ტახტი ისეთი ვიწროა, რომ ტანით მაღალ ტრაქტორისტებს ღამე ფეხები ძირს აქვთ გადმოლაგებული. ამის გამო ზოგიერთები ძირს, იატაკზე არჩევენ წოლას.

სახელოსნოს მუშები არც კვებისა და მომარაგების მხრივ არიან უზრუნველყოფილი. ბევრს რამოდენიმე თვეა ხელფასი არ მიუღია. საუზმისათვის მუშებს ერთი კილომეტრის მანძილზე უხდებათ სიარული, დასვენებისათვის დრო აღარ რჩებათ.

ასე „ზრუნავენ“ გორის მტს-ის სარემონტო სახელოსნოში ცოცხალ ადამიანზე. აქ არიან ისეთები, რომლებიც დაეუფლნენ რემონტის ტექნიკას, მაგრამ არ ჩანს, რომ მათზე რაიმე გულშემატკივრობას და ფხიზელ ყურადღებას იჩენდეს მტს-ის დირექცია და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია.

ტრაქტორისტებს, მექანიკოსებს და ხელოსნებს თხოვენ რემონტის გეგმის შესრულებას, მაგრამ სათანადოდ არ ზრუნავენ ამ ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

ეს არის იმის ძირითადი მიზეზი, რომ რემონტის კამპანია მოუდის გორის რაიონში სუსტად იწევა ზევით. და რაც უფრო მალე შეიგნებს ამას გორის მტს-ის დირექცია, მით უფრო მალე ჩადგება ყველა ტრაქტორი შეკეთებულთა რიგში.

საქართველოს მიწსახკომის სახელოსნოები დაჩქარებითი წესით მუშაობენ, რათა საგაზაფხულო თესვისათვის არც ერთი ტრაქტორი არ დარჩეს შეუკეთებელი.

სურათზე: სტუდენტი პრაქტიკანტი ქალი ამოწმებს შესაკეთებელ ტრაქტორის დეტალებს.

პურის გაშლილი ვაჭრობის შემფერხებლები უნდა დაისაჯონ

უკანასკნელი დღეების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პურის მცხობელ და პურის გამყიდველ ორგანიზაციების ზოგიერთ მუშაკებს ტფილისში ვერ შეუგნიათ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა პურის გაშლილი ვაჭრობის შესახებ და არ უზრუნველყვიათ ამ დადგენილების განუხრელად გატარება. ამის გამო უკანასკნელი სამ-ოთხი დღის განმავლობაში ტფილისის პურის ბაზარზე აქა-იქ შესამჩნევი გახდა შეფერხებები.

არ შევჩერდებით იმაზე, რომ მაღაზიების ნაწილი პურს მხოლოდ დილის 11—12 საათზე და ზოგჯერ შუა დღის შემდეგ ღებულობდა, რომ ზოგიერთ წერტს ეგზავნებოდა მარტო ერთი ან ორი ხარისხის პური. რომ ზოგიერთ მაღაზიას პური ეძლეოდა არა საკმაო რაოდენობით. მთავარი არის, რომ პურის ცხობისა და გაყიდვის ხელმძღვანელი ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ.

საპურტრესტმა გეგმით გათვალისწინებულ 170 ტ. ნაცვლად 3 იანვარს გამოაცხო მხოლოდ 110,6 ტონა, ხოლო 4 იანვარს 180 ტონის ნაცვლად 117,6 ტონა პური.

საპურტრესტის საცხობებში გამომცხვარი პური ზოგჯერ დაბალი ხარისხისაა.

ასეთივე მდგომარეობაა საგზაო სატრანსპორტო მუშათა განყოფილების (განსაკუთრებით ნავთლუღის კვანძის) საწყობებში.

გამონაკლისს შეადგენენ სარეწაო კავშირის თონეები და ზოგიერთი პატარა ფურნე, რომლებიც შედარებით დამაკმაყოფილებელი ხარისხის პურს აცხობენ.

საქვაჭრობას და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს წინადადება ჰქონდათ მიცემული პურის თვითეული სავაჭრო წერტი მიემაგრებინათ გარკვეულ ფურნეზე, თონეზე, ან პურის ქარხანაზე; შეედგინათ საცხობებიდან პურის გაზიდვის გრაფიკი, რომ ტრანსპორტს და ცალკე მაღაზიას წინასწარ სცოდნოდა რომელ საათზე რამდენ პურს მიიღებს.

ეს წინადადება არც ტ.ს.ო.კ-ს შეუსრულებია და არც საქვაჭრობას. გამომცხვარი პურის წერტებში გაზიდვას ეს ორგანიზაციები აწარმოებენ სრულიად უწესრიგოდ.

ტ.ს.ო.კ-ის სავაჭრო წერტებმა № 148 (მელიქიშვილის ქუჩა), 12 და 60 (რუსთაველის პროსპ.), 39 და 86 (არსენის ქუჩა), წინადღით მიტანილი პური ადრევე გაასაღეს, უცადეს მეორე დღის ნორმას რამდენიმე საათი, შემდეგ დაკეტეს მაღაზიები და წავიდნენ.

ღამე, როცა ტ.ს.ო.კ-ის მუშაკებს მოეპრიანათ, გაუგზავნეს ამ წერტებს პური ავტომანქანებით. მაგრამ მაღაზიები დაკეტილი აღმოჩნდა და იძულებული გახდნენ ეს პური სხვა მაღაზიებისათვის გადაეცათ, ზემოჩამოთვლილი წერტები კი მეორე დღის დილით უპუროდ იყვნენ.

ასეთი უწესრიგობისა და უთავბოლობის შედეგად პურის პირველ ქარხნიდან ტ.ს.ო.კ-მა და სავაჭრომ 3 იანვარს წაუღებელი დატოვეს 14 ნახევარი ტონა, 4 იანვარს 13,7 ტონა, ხოლო მეორე ქარხანაში 3 იანვარს 37,6 ტონა, 4 იანვარს 30,8 ტონა პური. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ბევრი პურის მაღაზია შუადღიდან უპუროდ იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პურის გამყიდველმა ორგანიზაციებმა წინა დღეების შეცდომებიდან არავითარი დასკვნა არ გამოიყვანეს და პურის გაზიდვა 6 იანვარსაც კი არ მოაწესრიგეს. 6 იანვარს ღამით გამყიდველ ორგანიზაციებს უქმად ყავდათ გაჩერებული ავტომანქანები. 7 იანვარს დილით კი მაღაზიებს ზოგან პური არ ჰქონდა მიტანილი და მომხმარებელს ხელცარიელს ისტუმრებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე მუშაკები სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ თავის მოვალეობისადმი ამ დიდ საქმეში: საქვაჭრობის ინსპექტორმა პაპასიანმა, რომელიც პირველ ქარხანაზეა მიმაგრებული, 6 იანვარს 10 საათზე მიატოვა მუშაობა და მხოლოდ 7 იანვარს გამოცხადდა 7 საათსა და 30 წუთზე. ავტომანქანები კი მთელი ღამე მას ელოდებოდნენ, უმისოდ პური არ წაიღეს და 7 იანვარს დილით მაღაზიები უპუროდ დარჩნენ.

ასევე მოიქცა საქვაჭრობის ინსპექტორი ბასიშვილი, რომელიც პურის მეორე ქარხანაზეა მიმაგრებული. 6 იანვარს იგი მთელი ღამე არ მისულა ქარხანას. მხოლოდ 7 იანვარს დილით გამოცხადდა და რის გამოც პურის გაზიდვა შეფერხებული იყო.

*

ეს მოვლენები ძირშივე უნდა აღკვეთოს ტფილისის საბჭოს სავაჭრო განყოფილებამ. დაუნდობლად უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც შეაფერხებს პურის გაშლილ ვაჭრობას, ვინც თავის უმოქმედობით, თუ ბოროტ განზრახვით ხელს შეუშლის პურის უბარათო ვაჭრობის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ნ. ტ—ძე

დამსახურებული სასჯელი

პურის ცხობასა და ვაჭრობაში შემჩნეულ შეფერხებათა მოსასპობად ტფილისის საბჭოს სავაჭრო განყოფილებამ შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები და თვითეულ ორგანიზაციას მისცა გარკვეული მითითებები.

ამასთან ერთად ტფილისის საბჭოს სავაჭრო განყოფილებამ საყვედური გამოუცხადა საპურტრესტის მმართველს ამხ. ქორჩარიანს, რომელმაც დაარღვია პურის ცხობის ნორმები და ვერ უზრუნველყო გამომცხვარი პურის დროზე გაზიდვა საცხობებიდან.

პურის ცხობის დღიური ნორმის შეუსრულებლობისათვის საყვედური გამოეცხადა პურის ქარხანა № 1-ის დირექტორ ამხ. გრიგორიანს.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა პურის ქარხანა № 2-ის დირექტორს ამხ. მხიტარიანს, რომელმაც 6 იანვარს დილის 8 საათიდან 16 საათამდე თვითნებურად გააჩერა ქარხანა და თვითნებურად მოხსნა სამუშაოდან 40 კაცი.

სამუშაოდან მოხსნილი და პასუხისგებაშია მიცემული საქვაჭრობის ინსპექტორი პაპასიანი, რომელმაც 6 იანვარს ღამით ჩაშალა გამომცხვარი პურის გაზიდვა მეორე ქარხნიდან.

სამსახურიდან მოხსნილი და პასუხისგებაშია მიცემული საქვაჭრობის პურის განყოფილების უფროსი კალანდაძე, რომელმაც [illegible] გამომცხვარი პური გასაყიდად გაგზავნა სავაჭრო ქსელში.

მოხსნილი არიან სამსახურიდან პურის იმ სავაჭროების გამგეები, რომლებიც თავიანთ წერტებში არ აღმოჩნდნენ პურის მოტანის დროს ადგილზე.

პურის მეორე ქარხნიდან გამომცხვარი პურის დროზე გამოუზიდველობისათვის წინადადება მიეცა ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს მოხსნან სამუშაოდან პურის განყოფილების გამგე ქიონიაშვილი ხოლო მის მოადგილეს ამხ. აკოპოვს გამოუცხადონ სასტიკი საყვედური.

კახეთის ხაზი ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა

კახეთის ხაზზე გურჯაანი ყველაზე მნიშვნელოვანი სადგურია. მის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მთელი კვანძის სადგურების გეგმის შესრულება. გურჯაანში არის საორთქლმავლო დეპო, რომელიც ზამთრის ტვირთზიდვას მოუმზადებელი შეხვდა. ამან დიდად შეუშალა ხელი სადგურის მუშაობას. წინა თვესთან შედარებით დეკემბერში საგრძნობლად გაიზარდა ვაგონების მოცდენა, რამაც შეაფერხა გეგმიანი ტვირთების გადაზიდვა. აი, ფაქტებიც, რომელსაც ვერ უარყოფენ სადგურ გურჯაანის უფროსი შოგნაძე და დეპოს უფროსის მოადგილე კუპუხიძე.

ამ ამბავს 9 წლის ისტორია აქვს. წლიდან წლამდე სიძნელეებს ხელოვნურად ქმნიდნენ რკინიგზის ბიუროკრატები.

— ვინ იცის ამ ცხრა წლის განმავლობაში რამდენი ათეული და ასეული კომისია გვეწვია ტფილისიდან და მოსკოვიდან, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა. წყალი მაინც არ გვაქვს,—გვეუბნება სადგურის უფროსი შოგნაძე.

გურჯაანს წყალი რომ არ აქვს, ამაში უშუალო დამნაშავენი არიან სალიანდაგო დისტანციის უფროსი კობალაძე და საორთქლმავლო დეპოს ხელმძღვანელები.

გურჯაანიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით არის პატარა რუ, რომლიდანაც მილის საშუალებით დეპო ღებულობდა წყალს და ეს მის მოთხოვნილებას ნაწილობრივ აკმაყოფილებდა. ეს მილი დროებითი იყო. მომავლისთვის უნდა აეშენებინათ წყლის დიდი აუზი. მაგრამ ბიუროკრატებმა ამაზე არ იზრუნეს.

მიმდინარე წლის ზაფხულში რუ ამოშრა და დეპოში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ორთქლმავლები გაცივდნენ და შეფერხდა მატარებლების მოძრაობა. აი, ახლა დაფაცურდნენ დეპოს და დისტანციის ხელმძღვანელები, შეადგინეს აქტები. ელწერილები აფრინეს გზის სამმართველოში და დაიწყეს „ბრძოლა“. ცარიელი ქაღალდებით. ასე იბრძოდნენ ამ ცხრა წლის წინათ, ასე იბრძვიან დღესაც...

დეპოს უფროსის მოადგილემ კუპუხიძემ ვერ შესძლო არამც თუ ახალი აუზის აშენება, არამედ საგარეჯოდან ცისტერნებით მოტანილ წყლის გადმოსხმაც ორთქლმავლებში.

— წყალსაქაჩი გაფუჭდა და რა ვქნათ. ამბობს იგი.

ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეგვიძლია.

ა.-კ. რკინიგზის უფროსმა ამხ. როზენცვეიგმა უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები კუპუხიძისა და კობალაძის მიმართ, რომლებიც კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდით მუშაობენ. გურჯაანში უნდა აშენდეს წყლის აუზი, რის შემდეგ არ იქნება ისეთი აღმაშფოთებელი მდგომარეობა, როგორიც დღეს არის.

*

ა.-კ. რკინიგზის მეორე საექსპლოატაციო განყოფილება დაუშვებელ გულგრილობას იჩენს სადგურ წნორში გეგმიან ტვირთების გადასაზიდად ვაგონების მიწოდების საქმეში. ამის გამო კლიენტები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მათ დიდძალი საქონელი უფუჭდებათ. ამას რკინიგზა ანგარიშს არ უწევს. რას გვეტყვის ამის შესახებ განყოფილების უფროსი ამხ. კეკელიძე?

აზერბეიჯანის საკონსერვო ქარხანამ საექსპორტო კონსერვების გადასაზიდად დეკემბრის პირველ დეკადაში 11 ვაგონის ნაცვლად მიიღო 2. ხოლო მეორე დეკადაში 8 ვაგონის ნაცვლად 3 მიიღო. უარესი მდგომარეობაა მესამე დეკადაში. 21 დეკემბერს ქარხანამ სადგურში მოიტანა 2 ვაგონი საექსპორტო თხილი მიუხედავად იმისა, რომ ეს მალფუჭი საქონელია, მეორე განყოფილებას დღემდე ვაგონი არ მიუცია.

უფრო უარესი. „ზაგოტზერნომ“ პურის გადასაზიდად დეკემბერში მოითხოვა 44 ვაგონი, მაგრამ მხოლოდ მიიღო 9. ასეთსავე მდგომარეობაში არიან დანარჩენი კლიენტებიც.

სადგურის უფროსი კაკაბაძე ყოველდღე სელექტორით ელაპარაკება განყოფილების უფროსს, რომ კლიენტები ტვირთის გადაზიდვას მოითხოვენ, მაგრამ ლაპარაკი საქმეს არ შველის, წნორში ვაგონებს მაინც არ გზავნიან.

ამის წინააღმდეგ მეორე რაიონის პოლიტგანყოფილებამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს. წნორში კლიენტებს ვაგონები თავის დროზე უნდა მიეცეს.

უკვე ზამთარია და კახეთის გზის სალიანდაგო დარგის ხელმძღვანელები ახლა შეუდგნენ თოვლთან ბრძოლის სამზადისს. დისტანციის უფროსმა კობალაძემ და პარტორგმა მელიქოვმა არავითარი წინასწარი მუშაობა არ ჩაატარეს; მათ ფორმალურად დაუდეს სოფლის საბჭოებს და კოლმეურნეებს ხელშეკრულება, ზამთარში დახმარების შესახებ. სოფლის საბჭოების და კოლმეურნეების თავმჯდომარეებმა უყოყმანოდ მოაწერეს ხელშეკრულებას ხელი და ამით გათავდა საქმე.

როგორც პარტორგმა მელიქოვმა განაცხადა, კობალაძე „ქაღალდის კაცია“. იგი მთელი დღის განმავლობაში ზის კაბინეტში და ძირეულ ოსტატობებს, სადაც მთელი მუშაობის ბედი წყდება, ცარიელ ქაღალდებით ხელმძღვანელობს. კობალაძის ბრძანებებს გზის ოსტატები არ ასრულებენ. მეხუთე ოსტატობის უფროსს ბერიძეშვილს კობალაძემ სამი ელწერილი გაუგზავნა იმის შესახებ, რომ ლიანდაგის ნაპირები სასწრაფოდ გაეწმინდა, მაგრამ ბერიძეშვილი ამ საქმეს დღემდე არ შედგომია. ასეთი ფაქტები მრავალია.

მეთორმეტე კილომეტრზე მდინარე იორის ნაპირების გამაგრება კობალაძემ დაავალა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის არტელის რწმუნებულს კეკელიძეს, ხოლო მეთვალყურეებად დანიშნა გზის ოსტატი გელაშვილი და ინჟინერი გოტაძე. მუშაობა ნოემბერში დაიწყო და დეკემბრის პირველ რიცხვებისათვის დამთავრდა. გელაშვილმა და გოტაძემ შეადგინეს ყალბი ანგარიში, რომლის მიხედვით კეკელიძისათვის დისტანციას უნდა გადაეხადა 12500 მანეთი. კობალაძემ ამ ანგარიშს დააწერა „გაეცით“, ისე რომ არც კი შეამოწმა შესრულებული — იყო თუ არა მუშაობა. ამ საქმით დაინტერესდა პარტორგი მელიქოვი, რომელმაც ერთ ტექნიკოსის თანხლებით შეამოწმა იორის ნაპირებზე დაყრილი ქვების მოცულობა და გამოირკვა რომ—2460 კუბიკური მეტრ ქვის მაგიერ ჩაუყრიათ—1613. ეს ზედმიწევნით ახასიათებს კობალაძის მუშაობას.

ა.-კ. რკინიგზის სალიანდაგო დარგის უფროსმა დოდუროვმა კობალაძის უმოქმედობას ბოლო უნდა მოუღოს.

კლ. ბოგბიავა.

პარტიულ თემაზე

ახლა ყველანი გაზეთს ელიან

ეს სულ გასული წლის ნოემბრის შუარიცხვებიდან დაიწყო:

ტფილისის ტრამვაის პარკის პარტორგმა ამხანაგმა შ. ხარაულმა გადაწყვიტა გამოერკვია, თუ როგორ კითხულობენ კომუნისტები გაზეთს. ჰან, კომუნისტ ამხანაგ თევდორაშვილს ასეთი კითხვა დაუსვა:

— კითხულობ თუ არა გაზეთს?

— როგორ არა, როგორ არა! აბა, რაღასი კომუნისტი ვიქნები!—ერთგვარი დამაჯერებლობით აცხადებდა, ამხანაგი თევდორაშვილი.

— მაშ, მითხარ, რა წაიკითხე და რა გაიგე გაზეთების უკანასკნელი ნომრებიდან:

— !!!

ამხანაგმა პარტორგმა იფიქრა: მაინც მოვაგონებ წერილების სათაურებს—მას იქნებ შინაარსი მაინც გახსენდესო. მაგრამ აქაც გაცუდდა და დუმილი განმეორდა პასუხად.

ბოლოს გამოირკვა, რომ არამც თუ თევდორაშვილი, არამედ სხვებიც არ კითხულობდნენ გაზეთს სისტემატიურად. ბევრ კომუნისტს გაზეთიც კი არ ჰქონდა გამოწერილი.

შეუძლებელი იყო ამ მდგომარეობის გაგრძელება...

პარტორგმა მუშებს შორის წინასწარ სათათბირო ახსნა-განმარტებითი საუბარი ჩაატარა. მიუთითა იმაზე, რომ პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობამ დაავალა კომუნისტებს, რათა სისტემატიურად იმუშაონ საკუთარ პოლიტცოდნის დონის ამაღლებისათვის, ამისათვის კი საჭიროა სისტემატიურად იკითხო გაზეთი, და სხვ.

კომუნისტებს სავალდებულოდ გაუხადა გაზეთის გამოწერა. (და მალე პარტიის არც ერთი წევრი არ დარჩენილა გაზეთი რომ არ გამოეწეროს.

ყველა კომუნისტი უნდა კითხულობდეს გაზეთს! მტკიცე შესრულებას მოითხოვს ეს ჭეშმარიტება! გადაწყვიტა პარტორგანიზაციამ. მაგრამ როგორ, რანაირად? ოჯახებში მაინც [illegible] არ ეტანებიან კითხვას.

საჭიროა თვით წარმოებაში მოეწყოს გაზეთის ხმამაღალი, კოლექტიური კითხვა.

და გამოყვეს პოლიტინფორმატორ აგიტატორები, გაზეთების კითხვის ორგანიზატორები. ისინი სასწრაფოდ შეუდგნენ მუშაობას. რა კეთდება ახლა იქ?

დავიწყოთ პოლიტინფორმატორ ამხანაგ მირზოევიდან. ქ. უკანასკნელი [illegible] ენერგიული კომუნისტია. სწორედ ამიტომ გამოყვეს იგი ამწყობი საამქროს პოლიტინფორმატორად.

შესვენებისას, სადილის შემდეგ ნახევარი საათი დრო რჩება თავისუფალი. აი, ამ დროს საამქროს მუშები (უპარტიოებიც) ყოველგვარი „მიპატიჟების“ გარეშე მიეკრიბებიან [illegible], დასხდებიან და გაშლიან გაზეთებს. პოლიტინფორმატორი მოჰყვება კითხვას და გზადაგზა ახსნა-განმარტებებს.

შემდეგ ინფორმატორი მიუთითებს მუშებს საინტერესო წერილებზე, წერილების საინტერესო ადგილებზე. კომუნისტები მოვალე არიან ოჯახებში წაიკითხონ გულდასმით ეს წერილები.

გაზეთების წაკითხვასთან ერთად ეწყობა კითხვა-პასუხი. საიდანაც არკვევენ შეთვისების ხარისხს.

პარტორგი დროდადრო ამოწმებს, თუ როგორ კითხულობენ კომუნისტები გაზეთებს და როგორ მუშაობენ პოლიტინფორმატორები.

უნდა ნახოთ რა შედეგი მოყვა ამას? ახლა ყველა დიდი ინტერესით და ხალისით კითხულობს გაზეთს. გაზეთი პირველი მოთხოვნილების საგნად გადაიქცა. ხანდახან ხდება ისე, რომ ფოსტალიონი დაიგვიანებს. მაშინ ინფორმატორები და სხვებიც სადმე კიოსკში მოძებნიან გაზეთს და შესვენებისას ჩვეულებრივ შეუდგებიან კითხვას.

ახლა ყველა კომუნისტმა და უპარტიო მუშამაც იცის ამათუიმ მიმდინარე პოლიტიკური საკითხის შესახებ, ზოგიერთი კი საკმაოდ ღრმადაც არკვევს მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებში.

ასე არის ყველა საამქროში, სადაც მუშაობენ პოლიტინფორმატორები: მირზოევი, კუპატაძე, ყაზაროვი, ჯავახოვი და სხვები.

კარგი იქნება თუ საამქროებში გაკეთდება დაფა, რომელზედაც პოლიტინფორმატორი გააკრავს გაზეთში მოთავსებულ საინტერესო წერილებს. კარგი იქნება ისიც, თუ ტრამვაის პარტორგანიზაცია ჩაატარებს თვეში ერთხელ მაინც საამქროების მიხედვით კრებებს და ამ კრებებზე მოისმენენ მოხსენებებს მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ნ. ნაბრელი.

ტყვარჩელმშენის თბოელექტროსადგური

ტყვარჩელის მაღაროების ექსპლოატაციის მექანიზაციამ წამოაყენა ტყვარჩელმშენის წინაშე ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიზნით ტყვარჩელმშენის სამმართველომ ააგო თბოელექტროსადგური. სადგურში დგას ერთი ორთქლის ტურბინი 3.000 კილოვატის სიმძლავრით, რომელიც დამზადებულია ქარხანა „კრასნი პუტილოვეცის“ მიერ (ლენინგრადი), და ელექტროგენერატორი, ქარხანა „ელექტროსილას“ მიერ დამზადებული.

ექსპლოატაციის ხარისხის დღითიდღე გაუმჯობესება იძლევა გარანტიას, რომ თბოელექტროსადგურის ყველა საჭირო ელემენტების დადგმის შემდეგ შევძლებთ მივიღოთ 3.000 კილოვატი ელექტროენერგია უახლოეს დროის განმავლობაში, რაც სრულიად უზრუნველყოფს ტყვარჩელმშენის მრეწველობის მოთხოვნილებას.

ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა სადგურის სწორ ექსპლოატაციას, მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებას.

სადგურთან მოწყობილია ლაბორატორია, რომელიც აწარმოებს სამეცნიერო-საგამოკვლევო ხასიათის ცდებს.

ინჟ. ალ. რეკვავა.



სურათზე: თბოელექტრო სადგურის საერთო ხედი.

თ. ქლენტი

საქ. ს. ს. რ. ცაკის მდივანი

საბჭოთა საქართველო დიდი გამარჯვებებით ეგებება თავისი საბჭოების მე-7 ყრილობას

დიდი მიღწევებით ეგებება საბჭოთა საქართველო თავისი საბჭოების მე-7 ყრილობას.

საბჭოთა ხელისუფლების, გაშლილი სოციალისტური შეტევის 14-მა წელმა ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს სახე. ჩამორჩენილ, ნახევრადკოლონიალური ქვეყნიდან მეფის რეჟიმისა და მენშევიკების დროს, საქართველო გადაიქცა ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

ელექტროფიკაციამ, მარგანეცმა, ნავთმა, ქვანახშირმა, მანქანათმშენებლობამ საქართველო გადააქცია ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად.

პრიმიტიული გლეხური მიწათმოქმედების ქვეყნიდან საქართველო გადაიქცა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე აგროტექნიკით, სასოფლო - სამეურნეო მანქანებით, ტრაქტორებით.

სამეურნეო მშენებლობის წარმატებებს, სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განუხრელ ზრდას საქართველოში თან ერთვის უდიდესი მიღწევები „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“ კულტურის დარგში.

ეს უდიდესი წარმატებები საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე შესაძლო გახდა მხოლოდ ჩვენი პარტიის მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საფუძველზე, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების საფუძველზე.

შოვინიზმის, კონტრ - რევოლუციური მენშევიზმის და ტროცკიზმის წინააღმდეგ განუხრელ ბრძოლაში, საქართველოს და მრავალეროვანი ამიერ - კავკასიის ყველა მოძმე ეროვნებების ძმური კავშირისათვის ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლებამ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შექმნა „ბურჟუაზიის დროის გაუგონარი და ბურჟუაზიული წესწყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში“.

საქართველოს საბჭოების მეექვსე ყრილობიდან მეშვიდე ყრილობამდე განვლილ პერიოდს (1931—1935 წ.) ახასიათებს განსაკუთრებით ინტენსიური და ფართო მუშაობის გაშლა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ამ პერიოდში გამოტანილ იქნა საქართველოსა და ამიერ - კავკასიისთვის ისტორიული საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება — გაშლილი პროგრამა საქართველოს და ამიერ - კავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ბრძოლისა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საბრძოლო ამოცანების შესრულებისათვის.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ნაცადი ბოლშევიკის ამხ. ლავრენტი ბერიას მეთაურობით, ამ 4 წლის განმავლობაში უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის, საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული ზრდისათვის ბრძოლაში. არ მოიპოვება ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობის და კულტურის ისეთი დარგი, სადაც არ ჩანდეს უდიდესი და ნაყოფიერი შედეგები, მიღწეული საბჭოთა ხელისუფლების მიერ პარტიის ხელმძღვანელობით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დავიწყოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდიდან:

თუ 1931 წელს კაპიტალური დაბანდებანი საქართველოს მთელს სახალხო მეურნეობაში შეადგენდნენ 201.462 ათას მანეთს, 1934 წელს კაპიტალური დაბანდებანი შეადგენენ 534.041 ათას მანეთს.

აქედან მრეწველობაში (ელექტროფიკაციის გარდა) 1931 წელს დაბანდებულ იქნა 53.876 ათასი მანეთი; 1934 წელს — 164.991 ათასი მანეთი. სოფლის მეურნეობაში: 1931 წელს — 59.588 ათასი მანეთი, 1934 წელს — 91.334 ათასი მანეთი.

საქართველო, რომელსაც წინათ არ ჰქონდა მსხვილი მრეწველობა, იფარება ინდუსტრიალური კერების ქსელით.

ზესტაფონში აშენდა და ამუშავდა საკავშირო მნიშვნელობის გიგანტი — ფერომარგანეცის ქარხანა. დაიწყო ტყვარჩელის სამადნოს ექსპლოატაცია. ქუთაისი, რომელსაც წინათ არავითარი საწარმო არ გააჩნდა, გადაიქცა საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრად 30.000 მუშით.

ქუთაისის მიდამოებში აიგო რიონის ჰიდროსადგური 48 ათასი კილოვატის სიმძლავრისა.

ტფილისი, რომელსაც წინათ არ მოეპოვებოდა რამდენიმე დიდი საწარმო, ახლა გადაიქცა ამიერ-კავკასიის მეორე, ბაქოს შემდეგ, სამრეწველო ცენტრად, ნავთის მრეწველობაში (ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები) დაბანდებულია დაახლოებით 77 მილიონი მანეთი.

შენდება ახალი მანქანათმშენებელი ქარხნები: ჩაის მოწყობილობის ქარხანა ბათომში, ნავთის საბურღი მანქანების ქარხანა ტფილისში (საპროექტო ღირებულება 21 მილიონი მან.), ცენტრალიტი (საპროექტო სიმძლავრე — 10 ათასი ტონა ფოლადი და 800 ათასი ტონა თუჯი) და სხვ.

მოწინავე სოფლის მეურნეობისათვის, საკოლმეურნეო სოფლისათვის, სანიმუშო საბჭოთა მეურნეობებისათვის, შეძლებული კულტურული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის ბრძოლაში საბჭოთა საქართველომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

საქართველოს მდიდარი ბუნება ქმნის ყველა პირობას ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების გაშენებისათვის. საქართველოში ჩვენ გვაქვს ჩაი, ციტრუსოვანი კულტურები, მრავალფეროვანი ხეხილის ბაღები, ვენახი, ეთეროვანი კულტურები, კაუჩუკოვანი კულტურები, ბამბუკი, ზეთისხილი, რამი და ბევრი სხვა ძვირფასი კულტურები.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებით საქართველომ მეორე ხუთწლედში „ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაიზე“.

ომამდე მეფის რუსეთის მთელი მოთხოვნილება ჩაიზე იფარებოდა იმპორტის ხარჯზე (რუსეთს ყოველწლიურად შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან 62 ოქროს მილიონი მანეთის ჩაი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩაის პლანტაციების ფართობი 980 ჰექტარს აღწევდა. საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ჩაის მრეწველობის ხელახლა მოწყობა. 1928 წელს ჩაის პლანტაციებს ეჭირა 1.900 ჰექტარი, ხოლო 1933 წელს—უკვე 33.325 ჰექტარი. 1928 წელს ჩვენ შევაგროვეთ 1.060 ათასი კილოგრამი, 1932 წელს — 1.600 ათასი კილოგრამი, 1933 წელს — 2.166 ათასი კ-გ., ხოლო 1934 წელს შეგროვებულია 6.500 ათასი კილოგრ. ჩაის მწვანე ფოთოლი. 35 ათასი ჰექტარიდან, რომელიც ჩაის პლანტაციებს უჭირავს, 26 ათასი ჰექტარი კოლმეურნეობათა წილად მოდის. დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში ჩაი წამყვან კულტურად გადაიქცა.

ციტრუსოვანი კულტურების მოსავალი 1933 წელს 100 მილიონ ციტრუსოვან ნაყოფს აღემატებოდა, ჩვენი ლოზუნგია: მივცეთ საბჭოთა ქვეყანას 1937 წელს ნახევარი მილიარდი ციტრუსოვანი ნაყოფი.

ციტრუსოვანი კულტურებისათვის საჭირო ახალი ფართობების მოსაპოვებლად დაწყებულია კოლხიდის დაბლობის დაშრობა; ეს დაბლობი წინათ მთლიან ჭაობს წარმოადგენდა. კოლხიდა ჩვენ მოგვცემს 241 ათას ჰექტარს, რომლებზედაც გაშენებული იქნება ძვირფასი კულტურები.

ამ წლების განმავლობაში განუზომლად გაიზარდნენ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც განმტკიცდნენ ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად.

სპეციალური და ტექნიკური კულტურების მაღალი მოსავალი მოპოვებულია შეუპოვარი ბრძოლით საკ. კ. პ. (ბ) ოქტომბრის დირექტივების და ამხ. სტალინის მითითებათა შესრულებისათვის შეუპოვარი ბრძოლით, მოპოვებულია საქმიანი დაძაბული მუშაობით საკოლმეურნეო წარმოების ნამდვილად განმტკიცებისათვის, შეურიგებელ ბრძოლაში კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის ყოველგვარი მანევრების წინააღმდეგ.

„1934 წელი შეიძლება და უნდა გახდეს მეცხოველეობის მთელს მეურნეობაში აღმავლობისაკენ გარდატეხის წელიწადი“. ჩვენი პარტიის ბელადის ეს მითითება გადაიქცა საქართველოში ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამად.

1934 წლის აღრიცხვის შედეგები მოწმობენ, რომ, გასულ წელთან შედარებით, გადიდდა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა. გადიდდა ახალგაზრდა პირუტყვის შენარჩუნების პროცენტი. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საგრძნობმა ნაწილმა მთლიანად შეინარჩუნა და გამოზარდა მთელი ახალგაზრდა პირუტყვი. სასაქონლო ფერმების რიცხვი წლის დასაწყისიდან თითქმის ერთიორად გადიდდა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებათა საფუძველზე ამაღლდა კოლმეურნეთა მატერიალურ - კულტურული დონე. საგრძნობლად გადიდდა მათი შემოსავლიანობა. თუ 1933 წელს 10—12 კილოგრამი შრომადღეში გამონაკლისს არ შეადგენდა. 1934 წელს იგი წესად გადაიქცა.

ლენინურ - სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო ქართული კულტურის სწრაფი ზრდა: შემოღებულია საყოველთაო დაწყებითი სწავლება. რამდენიმე ათეული უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები ამზადებენ კადრებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. ქართულ ენაზე გადათარგმნილია მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითადი ნაწარმოებები. ვითარდება ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ქალაქ ტფილისის რეკონსტრუქცია. ტფილისი უნდა გადაიქცეს საქართველოს და ამიერ - კავკასიის სანიმუშო ქალაქად. შეიძლება აღინიშნოს, რომ რეკონსტრუქციის მხრივ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები: მოეწყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელობის ფართო და სანიმუშო მოედანი, აგებულ იქნა ჩელუსკინელთა ხიდი. რომელიც უდიდესი ხიდია მთელ ამიერ - კავკასიაში, გაყვანილ იქნა საუცხოვო ფართო სანაპირო ქუჩა. რომელიც ამავე დროს ამაგრებს მდინარე მტკვრის ნაპირებს. და სხვ. საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუშაობა. საბჭოების ახლახან დამთავრებულმა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიამ დაგვანახვა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის კოლოსალური ზრდა. საქართველოში არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა: სოფლად — ამომრჩეველთა 81,87 პროც., ხოლო ქალაქში — 92 პროცენტი.

სოფლად საარჩევნო კამპანია ორგანიულად იყო დაკავშირებული ზამთრის პერიოდისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის კოლმეურნეობათა მომზადებასთან.

საბჭოების მე-7 ყრილობის სახელობის ლაშქრობაში ჩაებნენ ათასობით საწარმოები. საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, მტს-ები, საწარმოო ლაშქრობის უშუალო შედეგს წარმოადგენს საწარმოების და კოლმეურნეობების მიერ საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა ვადამდე შესრულება და სხვ.

მიღწევები, რომლებითაც საქართველოს მშრომელები ხვდებიან, საბჭოების მე-7 ყრილობას, მოწმობენ იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც ჩაატარა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და პირადად ამხ. ბერიას კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობით.

ეს წარმატებანი არის იმის შედეგი, რომ განუხრელად სრულდებოდა დირექტივები ბოლშევიკური შტაბისა — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი — გენიალური სტალინი.

◆

მეველე

შეიძლება გაიკვირვონ: რა დროს მეველეა ამ შუა ზამთარში, როდესაც პურის ყანებს ჯეჯილით პირი არ ამწვანებია და მცენარეებზე ფოთლის ნასახი არ არის. მაგრამ ეს არ იქნება სწორი. საქართველო მარცვლეულთან ერთად ძირითადად ტექნიკური კულტურების რაიონია და ამიტომ აქ ნათესებისა და ნარგავების დაცვის საკითხი სერიოზულად დგას მთელი წლის განმავლობაში.

ავიღოთ მაგალითად დასავლეთი საქართველო. აქ წანახედებთან ბრძოლა განსაკუთრებით მწვავდება მას შემდეგ, როცა შემოდგომაზე ერთ წლიან კულტურების მოსავალს აიღებენ. ჩაის და ციტრუსების ნარგავთა პლანტაციები ყველგან შემოკავებული როდია. ამიტომ ნასიმინდარში გაშვებული პირუტყვი არხეინად დააბოტებს ჩაის პლანტაციებში და უმოწყალოდ აჩანაგებს მას.

ან ავიღოთ აღმოსავლეთი საქართველო. განა დასაშვებია შემოდგომის ნათესებში (პური, ქერი, ბოსტნეული) პირუტყვი თარეშობდეს? ფაქტია, რომ ნათესების უხეიროდ დაცვის გამო პირუტყვი ფეხქვეშ თელავს და სერიოზულად აზიანებს ნათესებს ქართლში, კახეთში და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც.

მთავრობის მიერ გამოცემულია სპეციალური კანონი წანახედების წინააღმდეგ საბრძოლველად. სასტიკად არის აკრძალული ჩაის პლანტაციების ზონაში პირუტყვის ხელ-ბლებით გაშვება. მიუხედავად ყოველივე ამისა, ნათესებისა და ნარგავების დაზიანება ჩვენში თითქმის ყოველწლიურად მატულობს.

ჩხოროწყუს რაიონში არის სოფლები, სადაც ჩაის პლანტაციები 20-25 პროცენტით დაზიანებულია პირუტყვისაგან. სამტრედიის რაიონში იყო შემთხვევა, როცა ჩაის პლანტაციებში აღმოაჩინეს თვით იმ პირის კუთვნილი პირუტყვი, რომელიც გამოყოფილია ნათესების და ნარგავების დასაცავად.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? უმთავრესად ის, რომ ჩვენში მეველეების და მრავალწლიან ნარგავთა მცველების შერჩევა-გამოყოფას არა-სერიოზულად ეკიდებიან. ხშირად კოლმეურნეობები მეველეობას აკისრებენ ინვალიდებს, ღრმად მოხუცებს და შრომის უნარმოკლებულებს.

მეველე - მცველების შერჩევა დიდი საპასუხისმგებლო საქმეა. სანამ ჩვენ ცოცხალი ღობეებისა და სხვა რადიკალური საშუალებებით არ გვაქვს შემოკავებული ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, მანამდე საიმედო მეველე-მცველთა შერჩევა არის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ძვირფას ნარგავების დასაცავად.

მეველეების მნიშვნელობა ჩვენში განსაკუთრებით მწვავედ დგას ნახირის გასარეკ საძოვარი ადგილების სიმცირის გამო რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში.

მეველე—ეს არის ჩვენი სოციალისტური მინდვრების ძვირფასი ნარგავებისა და ნათესების დარაჯი. მეველე საკოლმეურნეო სოციალისტური საკუთრების ფხიზელი მეთვალყურე და მცველია.

ამიტომ მეტი დაკვირვება და პასუხისმგებლობაა საჭირო მეველეების შერჩევა-განაწილებაში.

ტრაქტორების რემონტი 1 იანვრისათვის

(საქმიწსახკომის ცნობებით)

აღმოსავლეთ საქართველოს მტს-ბის ხაზით 15 თებერვლამდე უნდა შეკეთდეს სულ 394 ტრაქტორი. 1 იანვრისათვის შეკეთებული იყო 197 ტრაქტორი, რაც წლიური გეგმის 50 პროცენტს შეადგენს. კაპიტალურად შეკეთდა 58 ტრაქტორი (გეგმის—51,3 პროც.), საშუალოდ—89 ტრაქტორი (გეგმის—55.6 პროც.), მიმდინარედ კი—50 ტრაქტორი (41,3 პროც.).

ცალკე რაიონების მიხედვით გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა:

მტს-ბი	გარემონტებული ტრაქტორების რაოდენობა	წლ. გეგმის შესრულება %-ით
ახალქალაქის	21	100
აგარის	24	57,1
გორის	20	50
კასპის	13	52
სტალინირის	15	100
მცხეთის	4	26,7
ტფილისის	4	22,2
საგარეჯოს	3	20
ბორჩალოს	28	48,3
ლუქსემბურგის	1	6,7
ყარაიის	11	55
გურჯაანის	8	50
ულიანოვკის	—	—
წნორის	19	52,8
თელავის	18	100
ყვარელის	4	37.5
ლაგოდეხის	9	40,9

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს ტრაქტორების რემონტის გეგმა 1935 წ. 1 იანვრისათვის მთლიანად შესრულებული ჰქონდათ ახალქალაქის, სტალინირის და თელავის მტს-ბს.

სამარცხვინოდ ჩამორჩა ლუქსემბურგის, საგარეჯოს, ტფილისის, მცხეთის და ყვარლის მტს-ბი.

ჩამორჩენილმა მტს-ბმა მაგალითი უნდა აიღონ მოწინავეებისაგან, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და ტრაქტორების შემკეთებელი ბრიგადების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზით უზრუნველყონ გეგმების ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულება.

◆◆

სანიმუშო საბავშვო კერა

— მე მიხარია ბაღში მოსვლა. აქ ვსწავლობთ, ვთამაშობთ, ვმღერით, სულ ძალიან კარგად ვართ. მიყვარს ჩემი ამხანაგები, მიყვარს ჩვენს ავტოში ჯდომა — ასე მიპასუხა 7 წლის ბიჭუნამ რეზო თაბუკაშვილმა. არა მარტო რეზო, არამედ 180 ბავშვი ხალისით მოდის ამ ბაღში და თან მოაქვთ ბავშური სიცელქე, სიცოცხლე და სიხარული.

მოსვლისას პალტოები გაიხადეს, პირველ საათებში პატარებს თავისუფალი თამაში აქვთ, შემდეგ მცენარეებს უვლიან, საკენკს აძლევენ ფრინველებს, მიაქვთ საჭმელი საყვარელ ბაჭიებთან და მურიასთან; ბაჭიები შეშინებული გამოიყურებიან გალიიდან და მოუთმენლად მოელიან თავიანთ საყვარელ მეგობრებს. „საუზმის“ შემდეგ ბავშვები ფანქრებით რვეულებით შეიარაღებულნი სამეცადინო ოთახში სხდებიან. ყოველ მათგანს ინდივიდუალური დავალება აქვს. ხელმძღვანელმა წინასწარ ჩაუწერა რვეულებში დავალება. ზოგს ბავშვების სახელი უნდა ჩაეწერა, ზოგს სურათის აღწერა ჰქონდა დავალებული.

ბავშვებმა რვეულები გადაშალეს, დავალებები წაიკითხეს და ჩაფიქრდნენ. პატარები გულმოდგინედ ჩასცქერიან რვეულებს, რამდენიმე ხნის შემდეგ იმით გახარებულმა, რომ გამოსავალი გამოიცნეს, აამოძრავეს ფანქრები. რეზომ თავის დავალებას ასეთი პასუხი მიაწერა: „ვეფხვის ტყაოსანი“ მომწონს, ტარიელი და ვეფხვი მომეწონა. მომწონს „კაკო ყაჩაღი“; ზეპირად ვიცი ზაქროს ბავშვობა. ბატონი მძულს, მკაცრი ყოფილა“.

მეცადინეობა დამთავრდა. დიდ სუფთა დარბაზში როიალი გრიალებს. მასწავლებლის ხელმძღვანელობით პატარები მუსიკის ხმაზე თამაშობენ.

— რა ვითამაშოთ, ბავშვებო?!

— მატარებლობანა, მატარებლობანა!

ჩამწკრივდენ პატარები, ერთმანეთს ხელები ზურგში ჩასჭიდეს, პირველი მათგანი — ორთქლმავალია და ქშენს, დანარჩენები—ვაგონებია; ისინი ფეხების სრიალით ბორბლების მოძრაობის ხმას გადმოგვცემენ. მატარებელი მივიდა დანიშნულ ადგილას. მუსიკამ ნიშანი მისცა და შეჩერდა.

— მოვიდით ბისტაფონში, მოვედით,— აიძახიან ბავშვები.

ცოტა ხანს [illegible] იქ მატარებელმა და ისევ გამოქანდა მუსიკის ნიშანზე. თან მღერიან:

მორბის მოსტვენს, მოგუგუნებს, მან
არ იცის დაღლა, ძილი.
არაფერი არ აშინებს, არც აღმართი,
არც მანძილი.

ახლა ლეკურის თამაში გვინდა, მოითხოვდენ ბავშვები, პატარები ერთმანეთს ცვლიან ცეკვაში. რამდენიმე წუთი და ლეკურის თამაში დამთავრდა; ხელები დაიბანეს, საკუთარ პირსახოცზე შეიმშრალეს, მათ დაუხვდათ გაშლილი სუფრა ჩაით, კარაქით, ცხელი საუზმით.

★

განსახკომის 1-ლი საცდელ-საჩვენებელი საბავშვო კერა დაარსდა 1921 წელს. ჰქონდათ 4 ოთახი და ერთი ეზო. ძველ შენობას დააშენეს მეორე სართული. ოთახები ფართო და სინათლიანია, დანიშნულებისათვის შესაფერისი. აქვთ სამი ეზო. საბავშვო კერასთან მოწყობილია პედაგოგიურ-პედოლოგიური კაბინეტი. კაბინეტში აქვთ ბავშვის ყურადღების და განწყობის გამოსარკვევი აპარატები და ბავშვების გონებრივი განვითარების გამოსარკვევი ბინესიმონის ტესტების სერია.

კაბინეტში სამი პედოლოგი მუშაობს. ისინი ახლა აწარმოებენ ფერების, ფორმის, ზომის, ანალიზის შემოწმებას. ხდება პედპროცესის ორგანიზაცია რიცხვითი ცნების გადამუშავების მიზნით. საბავშვო კერა ამზადებს დიდაქტიკურ მასალას, და მომსახურებას უწევს რესპუბლიკის ყველა საბავშვო ბაღს.

კვების საკითხი კერაში კარგად არის დაყენებული. ბავშვებს ეძლევათ ცხელი საუზმე, ორთავეი სადილი თეთრი პურით.

კერას ყავს შერჩეული კადრები, რომლებიც გულმოდგინეთ მუშაობენ. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა გაშლილია.

— თანდათან უკეთესი მდგომარეობა გვექმნება. მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალება გვაქვს,—მეუბნება გამგე ამხ. უნაფქოშვილი, მაგრამ გვაფერხებს საბავშვო ლიტერატურის სიმცირე, საჭირო მწერლები დროზე მოგვაწოდიდენ ბავშვებისათვის შესაფერ ლიტერატურას.

კერა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა: ყოველწლიურად აქ პრაქტიკაზე 600 მასწავლებელი ტარდება. განსახკომმა მომავალში უფრო მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მას, რათა ტფილისის 1-ლ საცდელ-საჩვენებელი საბავშვო კერა გადაიქცეს ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი თაობის საკვლევ-ლაბორატორიად.

მერი ადამია.

— განსახკომის პირველი საცდელი საბავშვო კერა.

რატომ დავრჩი პარტიის გარეთ?

დაბადებული ვარ გურჯაანის რაიონში სოფ. ნანიანში 1911 წელს. ჩემი ოჯახი შედგება 8 სულისაგან. მამა 60 წლისა, დედა 50 წლის (კოლმეურნეობაში მუშაობს) 3 და (სამივე კომკავშირელებია), ცოლი (პარტიის წევრია 1930 წ.) და ბავშვი.

1929 წელს დავიწყე მუშაობა დარაჯად სიღნაღის საავადმყოფოში. იქ დავყავი ამ თანამდებობაზე 5 თვე, შემდეგ დამაწინაურეს მოანგარიშე საქმის-მწარმოებლად ამავე საავადმყოფოში. ამ თანამდებობაზე ვიმუშავე ერთი წელიწადი.

მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში მე, როგორც კომკავშირელი, მობილიზებული ვიქენი კომკავშირის რაიკომის მიერ კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

შემდეგ კოლმეურნეობის და კომკავშირის ორგანიზაციის მოთხოვნით გამგზავნეს ხელობის შესასწავლად „26“-ის სახელობის ქარხანაში, სადაც ვმუშაობდი შეგირდად ერთ წელიწადს.

1931 წლის დასაწყისისათვის უკვე შესწავლილი მქონდა ხელობა. უნდა დავბრუნებულიყავი ჩემს კოლმეურნეობაში სამუშაოდ. მაგრამ ამ დროისათვის კოლმეურნეობა უკვე დაშლილიყო. აქედან პირდაპირ გადავედი ტფილისის ინდუსტრიალურ მუშფაკში. ვსწავლობდი და თან ვმუშაობდი ტფილისის რაიაბრეშუმში საქმის მწარმოებლად. 1932 წლის თებერვლიდან 4 ოქტომბრამდე გადამიყვანეს საქ. აბრეშუმტრესტის გაერთიანებულ ადგილკომის თავმჯდომარედ.

1933 წლის 20 მარტს საქ. აბრეშუმ-ტრესტის სამკუთხედის დადგენილებით მე დაწინაურებული ვიქენი ყვარელის რაიაბრეშუმის გამგედ, ამ თანამდებობაზე ვმუშაობ დღემდე.

ორი სამეურნეო წელი გავატარე ყვარელში. მოცემულ გეგმებს და დავალებებს ყოველთვის ვადამდე ადრე გადაჭარბებით ვასრულებდი. 1933 წლის აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 109 პროც. შესრულდა. ეს წარმატება შევინარჩუნეთ 1934 წელსაც—პარკის გეგმა 110 პროც. შესრულდა. ორივე წელს დამზადებული პარკის ხარისხი კარგი იყო.

1933 წლის ნედლი პარკის დამზადების წარმატებით შესრულებისათვის საქ. აბრეშუმის ტრესტმა დამაჯილდოვა 800 მანეთით, ხოლო რაი-აბრეშუმმა 1.500 მანეთით. წელსაც რაი-აბრეშუმმა დამაჯილდოვეს 1500 მანეთით და მეც წაყენებული ვარ საკავშირო ჯილდოზე.

როგორც კომკავშირელი და პარტიის კანდიდატი, რასაკვირველია, პარტიულ დავალებებსაც უყოყმანოდ ვასრულებდი. მიუხედავად ყოველივე ამისა დღეს მე პარტიის და კომკავშირის გარეთ ვარ დარჩენილი. მიზეზები ბევრია. მე ყოფილი კომკავშირელი და პარტიის კანდიდატი დატუშულად ვგრძნობ ჩემს თავს იმის გამო, რომ ამჟამად არავითარ დაკავშირებული პარტიის ცხოვრებასთან. რატომ მოხდა ეს?

1926 წელს, როგორც აქტიური ახალგაზრდა, მიმიღეს კომკავშირში (სიღნაღის რაიონი). 1928 წლის დამლევიდან 1929 წლის ბოლომდე ვმუშაობდი კომკავშირის ქიდეღის (სიღნაღის რაიონში) სოფლის უჯრედის მდივნად. ტფილისში მუშაობის დროს 1931 წლის ივლისში კომკავშირიდან „26“-ის ქარხანაში გადამრიცხეს პარტ-კანდიდატად 6 თვის სტაჟით. ლენრაიკომის დადგენილება ჩემი პარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ პარტიის ტფილისის კომიტეტმა დაამტკიცა 1931 წლის 31 ივლისს. ოქმი № 16. პარტიის საკანდიდატო ბილეთიც მივიღე № 25392.

სისტემატურად ვიხდიდი საწევრო გადასახადს, აქტიურად ვასრულებდი პარტორგანიზაციის ყოველგვარ დავალებებს. ყვარელში გადმოსვლის შემდეგ მე მექანიკურად ვშორდები პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობას. პირველი ოთხი თვე ვირიცხებოდი ყვარელის ტერიტორიალურ უჯრედში და დავალებებსაც ვასრულებდი პირნათლად. პარტიის რაიონულ კომიტეტში მთხოვეს პირადი ბარათი. ჩემი პირადი ბარათი ინახებოდა ტფილისის ორგანიზაციის ლენრაიკომში. ჯერ ის გადმოგზავნილი არ იყო. პარტრაიკომმა პირადი ბარათი რამდენიმეჯერ მოითხოვა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ბოლოს იძულებული შევიქენი პირადად წავსულიყავი ჩემი პირადი ბარათის ჩამოსატანად, ოთხჯერ ჩაველი ტფილისში, მაგრამ ლენრაიკომში ჩემი პირადი საქმე აღარ აღმოჩნდა.

რასაკვირველია, ყვარელის რაიონულ კომიტეტში პირადად ჩემი და ლენრაიკომის სააღრიცხვო განყოფილების დაუდევრობით ვერ წარმოვადგინე პირადი საქმე. აქ ფაქტიურად წყდება ჩემი დამოკიდებულება პარტიულ ცხოვრებასთან.

ამ საქმეში დიდი დანაშაული მიმიძღვის. ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ პარტიის ყოველი წევრის და კანდიდატისადმი ისეთი უსულგულო დამოკიდებულება რომელიც ლენრაიკომის სააღრიცხვო განყოფილებამ გამოიჩინა, ყოვლად დაუშვებელია.

იაშა ბურგენიშვილი.



ახალი სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც შენდება ქუთაისში.

○ ○ ○

მეაბრეშუმეთა რესპუბლიკური ყრილობა

დღეს ა.-კ. მეაბრეშუმეობის სამეც-საგამოკვლევო ინსტიტუტის შენობაში იხსნება მეაბრეშუმეთა რესპუბლიკური ყრილობა სახკომსაბჭოს, მიწსახკომის, ადგილობრივი მრეწველობის და დამზადების კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად.

მოხსენებას 1934 წლის შედეგებზე და მიმდინარე წლის ამოცანებზე გააკეთებს ტრესტის მმართველი ამხ. აკ. ფლენტი.

მოსმენილ იქნება აგრეთვე იმ რაიონების მოხსენებები, რომლებმაც აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები შეასრულეს და გადააჭარბეს, ასეთებია: ჩოხატაური, თელავი, გურჯაანი და აფხაზეთი.

◆◆

მზადება საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობისათვის

◆ მატარებლებში, რომლებიც ტფილისისაკენ მოდიან, გამოკიდებულია განცხადებები საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატების ტფილისის სადგურზე მიღების წესის შესახებ.

◆ 9 იანვრის დილიდანვე ტფილისის სადგურზე ეწყობა ცნობათა ბიურო საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ორი ინსტრუქტორის შემადგენლობით ყრილობაზე ჩამოსული დელეგატების მომსახურეობის გაწევისათვის.

◆ 8 იანვრიდან მუშაობა დაიწყო სამანდატო კომისიამ ყრილობის დელეგატების მისაღებად.

◆ რუსთაველის სახ. თეატრის შენობაში, სადაც გაიმართება საქ. საბჭოების ყრილობის სხდომები, ეწყობა სახელგამის და სხვა გამომცემლობათა კიოსკები, რომლებიც ყრილობის დელეგატებს მოამარაგებენ ლიტერატურით შეღავათიან ფასებში.

◆ საქ. განსახკომი საქართველოს საბჭოთა მე-7 ყრილობისათვის რუსთაველის თეატრის შენობაში აწყობს საქართველოში კულტურული მშენებლობის გამოფენას.

◆ ყრილობის დელეგატების მომსახურებისათვის რუსთაველის თეატრის შენობაში ეწყობა ტელეგრაფის, საქალაქთაშორისო ტელეფონის და ფოსტის განყოფილება, აგრეთვე სამედიცინო - სანიტარული პუნქტი.

◆ ტფილისში ჩამოსულ საქ. საბჭოთა ყრილობის დელეგატებისათვის ყრილობის დროის განმავლობაში დაწესებულია ტრამვაით უფასო მოგზაურობა.

მოდიან პროლეტარული სარაჯიშვილები

(რეცენზიის მაგიერ)

ეს მაშინ იყო, როცა რევოლუციის აბობოქრებული ტალღებით თავზარდაცემული მეფის მთავრობა ნატრობდა აჯანყებულ მუშებს და გლეხებს ერთი კისერი ჰქონოდათ, რომ ჯალათს ადვილად მოეკვეთა მათთვის თავი. ეს ის დრო იყო, როცა რკინის ხუნდებს ადებდენ რევოლუციის არწივებს, ასობით და ათასობით ასალმებდენ მათ სიცოცხლეს. არაფრად მიაჩნდათ ხალხის ასე ხოცვა, რადგან ყველა კაცი კაცი არ იყო, ადამიანის ანგარიში მაშინ ფაბრიკანტიდან, ვაჭრიდან, მსხვილ ჩინოვნიკიდან იწყებოდა. და მეფის რეაქციის ამ შავბნელ დღეებში მოსკოვის სამხატვრო თეატრმა, რომლის ხელმძღვანელებიც ლიბერალი-პროგრესისტები იყვნენ, თავის კარებთან გამოჰკიდა ორივე მუხლის თავზე გამოხეული, სრულიად ახალი, ძვირფასი მასალისაგან და საგანგებოდ შეკერილი შარვალი. ამ უცნაურ ექსპონატს მეტად თავისებური წარწერა ჰქონდა:

«Брюки солиста его императорского величества».

ეს ცნობილი დიდი მომღერლის თედორე შალიაპინის შარვალი იყო, შალიაპინის, რომელმაც დაჩოქილი იმღერა ნიკოლოზის წინაშე რუსეთის მონარქიის ჰიმნი.

«Боже, царя храни».

როდესაც ეს ამბავი გ. პლეხანოვმა გაიგო, თავისი ზიზღი ამ საძაგლობისადმი მანაც თავისებურად გამოხატა. შალიაპინის სურათი, რომელიც ერთ დროს მომღერალმა უძღვნა მეგობრობის ნიშნად პლეხანოვს, ამ უკანასკნელმა პატრონსვე დაუბრუნა შემდეგი წარწერით:

«Возвращается за ненадобностью».

ეს სილა იმდენად მწარედ მოხვდა გაიძვერა მომღერალს, რომ ტკივილი მას დღესაც კი, როცა შალიაპინი ემიგრაციის ცოცხალ მიცვალებულთა სავანეში განისვენებს, არ დავიწყნია. რამდენიმე წლის წინათ პარიზში გამოვიდა შალიაპინის მემუარები. თავის ამ დაუვიწყარ დაცემას შალიაპინი წიგნში დიდ ადგილს უთმობს. თავს იმართლებს და, უნდა ითქვას, სრულად „აქარწყლებს“ ბრალდებას. შალიაპინი აღშფოთებულია ცილისწამებით, ფაქტის უხამსი დამახინჯებით. თურმე რა ყოფილა: შალიაპინს მხოლოდ ცალი მუხლით დაუჩოქია მეფის წინაშე.

ახლა რატომ გამახსენდა ეს ძველი, თითქმის დავიწყებული ამბავი? არც შეიძლებოდა მისი არ გახსენება.

გასული წლის ზაფხულზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა მრავალ დადგენილებათა შორის გამოიტანა ერთიც რომელსაც დღემდე არც კი იცნობს საბჭოთა საზოგადოებრიობა. ეს დადგენილება გაზეთებში არ გამოქვეყნებულა, მის ირგვლივ კამპანიები არავის ჩაუტარებია, გეგმის გარღვევაზე თუ წარმატებით შესრულებაზე არ გვიწერია. დადგენილება ჩაბარეს მხოლოდ რამდენიმე პირს, ვისაც ის შეეხებოდა და დაავალეს მისი პირნათლად შესრულება. ეს პირები იყვნენ საქართველოს კონსერვატორიის მუშაკები. პირველი ხუთწლედის დამთავრების შემდეგ, როცა ქვეყანა რკინითა და ბეტონით შეიმოსა, როცა მშრომელთა მარჯვენით მონაგარი დიდძალი სოციალისტური დოვლათი დაგროვდა, პარტიამ ბუნებრივად მთელი სიმწვავით დააყენა მუშისა და მშრომელი გლეხის კულტურული მომსახურების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის ამოცანა, დროულად დაიბადა დღემდე სრულიად დავიწყებული, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩვენთვის თითქმის უცნობი საკითხი, როგორიცაა საოპერო სტუდიის დაარსება. პარტიის ხსენებული დადგენილებაც ამ საკითხს შეეხებოდა.

სულ რაღაც სამი თვე თუ გავიდა მას შემდეგ 6 იანვარს კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. კარლო ორაგველიძის, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. გ. ტოროშელიძის და სხვათა დასწრებით დახურულ კარებში გაიმართა საოპერო სტუდიის ძალთა პირველი ალღუმი. ტრამვაის ყოფილი კონდუქტორი, კომუნისტი ამხ. ცაგურია — დრამატიული ტენორის შესანიშნავი ხმოვანი მასალით დაჯილდოებული; ყოფილი შინამოსამსახურე ჯუკაშვილი—ლირიულ-დრამატიული სოპრანო; დღეს ჯერ კიდევ დაზგასთან მდგომი დურგალი ამხ. ხუდიაკო—ხმაგაშლილი, მშვენიერი ბანი; მთელი ჯგუფი მუშებისა და მოსამსახურე ქალებისა; საუკეთესოდ შეწყობილი, შეხმატკბილებული სიმფონიური ორკესტრი, მუშების და საბჭოთა მოსამსახურეების შვილები. აი, რა ძალით ჩვენ. ტრამვაის კონდუქტორი ცაგურია მღერის „აბესალომის“ პარტიას. მღერის გატაცებით, მთელ თავის მუშურ აღტაცებას აქსოვს შიგ. მისი ხმა ზარივით რეკავს. ერთი-მეორეს ეჯიბრებიან ახალგაზრდები. მუსიკალური მუშფაკიდან მოსული პროლეტარული სირინოზები: ლირიულ-დრამატიული სოპრანო ლაფაშვილი, ლირიული კოლორატურა ხარაძე, ლირიული სოპრანო ფედოროვა, ხავერდოვანი ხმის ბარიტონები ყიფიანი და მეზუკე, შავთელიშვილი, ახოვანი ბიჭი, მოსიმღერალი ბარიტონი გამრეკელი, მოგუგუნე სოლისტი ბანები ინჟინერი ყურაშვილი და კუხიანიძე. ორი სურათი და ორივე მეტად საპასუხისმგებლო ოპერა „აბესალომ და ეთერისა“ ჩაატარა სტუდიამ თავისი ძალებით. არცერთი ნაკლი ორკესტრში, არც გუნდში, არც სოლისტებში. ყველა ერთიმეორის უკეთესი, ყველა ერთიმეორესთან მოხდენილად შეხამებული. პროფესიული კრიტიკომანიით დაავადებულთა მოწმობითაც კი, სტუდიელებს დიდი გამარჯვება ხვდათ წილად. განსაკუთრებით კი უნდა ითქვას გუნდზე. დღემდე ქართული საოპერო გუნდის შექმნა ბევრ სკეპტიკოსს ოცნებად მიაჩნდა, ახლა კი ვნახეთ ცოცხალი მაგალითი. ახალგაზრდობისადმი ბუნებრივი სიყვარული როდი გველაპარაკებს, რომ სტუდიის გუნდი უკვე ახლა აღარ ჩამორჩება ტფილისის ოპერის კვალიფიციურ გუნდს. ეთი ვარი ისაა, რომ მომღერლები დაეუფლენ სიტყვას; მღერიან გაზრებით, მღერიან მუსიკაში ახლად მოსულთა ხალისით, სავსე ხმით.

ან კიდევ ორკესტრი: აგერ პირველ რიგში, ტფილისის ცნობილ ვიოლონისტ კაპიტოლის გვერდით ზის ტყავის ქარხნის საუკეთესო დამკვრელის შვილი პატარა პოლონსკი, ზის და უკრავს ურთულეს მუსიკალურ ნაწარმოებს კოტე მეღვინეთუხუცესის სიმფონიის მეორე ნაწილს ანდანტეს. უკრავს გრძნობით, ვირტუოზობით, აოცებს მთელ ორკესტრს.

ეს საღამო დიდი გამარჯვება იყო კონსერვატორიის დირექციის, რეჟისორის — რესპუბლიკის სახალხო მსახიობ ალ. წუწუნავას, ახალგაზრდა დირიჟორ აზმაიფარაშვილის მასწავლებელ ვ. ხმალაძის, შულგინის და სხვებისა, აგრეთვე გუნდის ხელმძღვანელებისა — პოლიკარპე ფალიაშვილის და შარაბიძისა. საოპერო სტუდიას შეუძლია თქვას, რომ გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული და ამაში არავითარი გადაჭარბება არ იქნება.

მაგრამ რა შუაშია აქ შალიაპინი? არა, შალიაპინი ბუნებრივად გაგონდება ყოველ[illegible] ამასთან. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ მუშებისა და გლეხების წრეებიდან მოდიან გუნდი და გუნდი მაღალხარისხოვან მომღერლებისა. განა წინათ არ იყვნენ მშრომელ ხალხში ასეთ ნიჭიერთა ულევი ლეგიონები? უდუოდ იყვნენ, მაგრამ მაშინ საოპერო ხელოვნება მათთვის არსებობდა, ვინც ნამდვილად ცხოვრობდა. სხვათა შორის ამან შექმნა ყალბი შეხედულება საზოგადოდ საოპერო მუსიკაზე, როგორც ბურჟუაზიულ გასართობზე. წინათაც თითო-ოროლა ამოიჭრებოდა ღარიბთა ფენიდან. შალიაპინი ხომ თბილისის ქუჩების ლუმპენპროლეტარი იყო. მაგრამ ის სცენის ქურუმებმა ჩაიკრეს გულში, ჩაჰბერეს მას თავისი სული, შეისისხლხორცეს და მიითვისეს ის, როგორც ნაგავში ნაპოვნი „მარგალიტი“.

დღესაც მოდიან სცენაზე ტრამვაის კონდუქტორი „აბესალომები“, დურგალი „დონ ბაზილიოები“, შინამოსამსახურე „ტატიანები“, საბჭოთა ინჟინერი „ფიგაროები“, და აბა ნახეთ მათი სვლა! ეს არის პირველი აზვირთებული ტალღა ხალხიდან შერჩეული მუსიკალური ნიჭიერებისა, ეს არის ახალი რაზმი ჯერ კიდევ გადაუხალისებელ საოპერო ხელოვნებისა. წინათ შალიაპინი, როგორც ტიპი, ბურჟუაზიულ ოპერისათვის ბუნების კანონი იყო, დღეს შალიაპინი პარადოქსია. წინათ ყოველმხრივ გზადახშული მშრომელი ხალხი თავის მუსიკალურ წყურვილს იკლავდა ისეთი თავდადებული ერთეულების დახმარებით, როგორიც ლადო აღნიაშვილი, ძუკუ ლოლუა, სამუელ ჩაველეიშვილი და მრავალი სხვა იყო. ახლა იგი მოითხოვს თავის კანონიერ ადგილს მაღალ საოპერო ხელოვნებაშიაც. იგი მოდის თავისი ახალი საოპერო ხელოვნების შესაქმნელად. პროლეტარიატს სჭირდება თავისი ვანო სარაჯიშვილი, ენრიკო კარუზო, თავისი ტიტა რუფო, თავისი ბატისტინი. თუ ერთმა მუჭა არისტოკრატიამ, რომელსაც ხელში ეპყრა მაღალი ვოკალური და ინსტრუმენტალური მუსიკის ხელოვნება, მოგვცა საოპერო სცენის ასეთი ვარსკვლავები, ადვილი წარმოსადგენია რა თვალუწვდენელი ასპარეზი იშლება ჩვენს წინ, როცა ეს საქმე ხელმისაწვდომი გახდა მილიონებისათვის. ცნობილი პროტესტანტი მწერალი შამფორი, რომელიც ცხოვრობდა ლუდოვიკ მე-16 დროს, მოსწრებულად შენიშნავდა: საფრანგეთი არის აბსოლუტური მონარქია, სიმღერებით შერბილებულიო, სიმღერა და ისიც, რასაკვირველია, არარევოლუციური, საფრანგეთის ღლაჯ-გაწყვეტილ გლეხობის ბოლოს ერთადერთი შემსუბუქება იყო. ჩვენ კი გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში ვცხოვრობთ, ჩვენ გვეღიმის მომავალი. არავის შეუძლია ისე მძლავრი, ისე მომხიბლავი, ისე წარმტაცი სიმღერა, როგორც გამარჯვებულ კლასს. ამიტომ იწვევს [illegible] დიდ სიხარულს კონსერვატორიის კედლებში პარტიის მითითებით წამოწყებული პატარა, მაგრამ დიდი საქმე.

აკ. შუღნია.

□ □ □ □

აგრ. გალ. მინდაძე ○ ○ ○ ○ ○

მეფრინველეობის განვითარებისათვის საქართველოში

მეფრინველეობა სოფლის მეურნეობაში ერთერთ შემოსავლიან დარგს წარმოადგენს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მეფრინველეობას ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები ჯერაც არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ეს იმ დროს, როდესაც აღნიშნულ საკითხის გარშემო საკავშირო კომუნისტური პ. (ბ) ც. კ. ივნისის პლენუმმა განსაკუთრებული დადგენილება გამოიტანა: კოლმეურნეების დახმარების მიზნით — ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში — მეფრინველეობის მოშენების და ფრინველის ჯიშების გაუმჯობესებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს არსებული მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობები და მეფრინველეობის ფერმები, როგორც წყარო კოლმეურნეებზე მისაყიდად (გასაცემად) სანაშენო წიწილების შეღავათიან პირობებში, აგრეთვე ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა რაიონულ საინკუბატორო სადგურებში წიწილების მასიურ გამოყვანისათვის, რომლითაც კოლმეურნეებს მოვამარაგებთ“.

პლენუმის ამ დადგენილების რეალიზაციისათვის ადგილებზე დღემდის ძალიან სუსტად არის გაშლილი მუშაობა, მეფრინველეობის ფერმებში წესიერად არ ხდება წიწილების კვება, არ ტარდება ვეტ-სანიტარული მომსახურეობა, ადგილი აქვს გაუპიროვნებას, არ არის მოწესრიგებული კულტურული საქათმეები, ფრინველები ბევრ ადგილას მოთავსებულია ცივ, ნესტიან პრიმიტიულ ბინებში (კულტურულად მოწყობილი ბინები არის მხოლოდ სამტრედიაში და აბაშაში), არ ხდება ბინების და ინვენტარის დეზინფექცია, უწესოდ აწარმოებენ წიწილების გადაყვან-გადმოყვანას. არ არის საკმაოდ კვალიფიციური კადრები. ბევრგან მეფრინველეობაში სამუშაოდ გამოყოფილი არიან მოხუცებულები და ინვალიდები. ამჟამად საზამთრო საკვები საკმაო რაოდენობით არა აქვს მეფრინველეობის თითქმის არცერთ ფერმას.

ზოგიერთ ადგილზე დანაშაულებრივ უყურადღებობასაც იჩენენ მეფრინველეობის განვითარებისადმი: მაგალითად ახალქალაქის რაიაღმასკომს მოწყობილი ჰქონდა საუკეთესო სამრეწველო ჯიშის მეფრინველეობის ფერმა, სადაც უყურადღებობის გამო ფრინველი გაწყდა. აბაშაში მოუვლელობის გამო 4000 ფრთაზე მეტი ჯიშიანი ფრინველი დაიღუპა, რისთვისაც პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ზუგდიდის, აბაშისა და სამტრედიის რაიონებში.

მეფრინველეობის განვითარებაში წიწილების ხელოვნურად გამოჩეკვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ინკუბატორის საშუალებით ხდება არა მარტო წიწილების მასობრივი გამოჩეკა, არამედ იგი იძლევა მუშა-ხელის დიდ ეკონომიასაც და თავიდან გვაცილებს დედა ფრინველის ხანგრძლივ მოცდენას.

საქართველოში წიწილების ინკუბატორის საშუალებით გამოჩეკა რამდენიმე წლის წინად დაიწყო, ამჟამად მოწყობილია სამი საინკუბატორო სადგური (სამტრედია, ზუგდიდი, გურჯაანი) საუკეთესო ამერიკული სისტემის („ჯეიმსვეის“) ინკუბატორებით, რომელთა გამტარუნარიანობა (თვითეულის) ბრუნვის დროს 25 ათას კვერცხს უდრის.

უნდა ითქვას, რომ ამ ძვირფას მანქანების წესიერად გამოყენების საქმე ვერ არის მოგვარებული, მაგალითად, 1933 წელს საქართველოში ინკუბატორებში გატარდა მხოლოდ 97.651 კვერცხი. წიწილების გამოჩეკის პროცენტი კი 46,5 პროცენტს არ აღემატებოდა. მიმდინარე წელს ჩაიწყო 61.655 კვერცხი (მხოლოდ ერთი ბრუნვა), რომლის გამოჩეკიანობა მხოლოდ 41,1 პროცენტს აღწევდა.

ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციებისაგან საინკუბაციო კამპანიისადმი არა კონკრეტული ხელმძღვანელობა, შეუფასებლობა, კადრების დაბალი კვალიფიკაცია, შეურჩეველი და გაუნაყოფიერებელი კვერცხების ჩაწყობა, — აი ყოველივე ის, რამაც გამოიწვია ეს არა ნორმალური მდგომარეობა საინკუბაციო სადგურებში.

მახარაძის რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში აგრეთვე გურჯაანის, სამტრედიის და ზუგდიდის საინკუბაციო სადგურებში მანქანები წელს სანახევროდაც არ იყო დატვირთული და გამოყენებული. საინკუბაციო სადგურები — ზოგან არ არის სათანადო ადგილებზე შერჩეული, ინკუბაციის ძირითადი წესები, როგორც, მაგალითად, ბინაში სუფთა ჰაერი, მისი ნორმალური სინესტე (50—80 პროც.), ინკუბატორში სითბოს მერყეობა წესიერი მეთვალყურეობით) საჭიროა 38—40 გრადუსი; კვერცხების გადაბრუნება, ვენტილაცია და სხვა ბევრგან დარღვეულია.

მთავარი, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, არის გამოჩეკილი წიწილების მექანიზირებული წესით აღზრდა, მით საქართველოს სინამდვილიდან მეფრინველეობის განვითარების დარგში ყველაზე [illegible] მივიწყებულ უბანს წარმოადგენს. სწორედ ამით უნდა აიხსნას, ის, რომ წიწილების სიკვდილიანობა როგორც საინკუბაციო სადგურებში, ისე მეფრინველეობის ფერმებში (ექვს თვემდე) 15-20 პროცენტის ნაცვლად (ნორმალური დანაკლისი) 60 პროცენტს აღემატება.

სამტრედიის საბატარეო ბრუდერის სეზონის განმავლობაში 10.000 ფრთა წიწილის აღზრდა შეუძლია; მის მოწყობაზე 35 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა, მაგრამ იგი ორი წელია უმოქმედოთ დგას.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს წიწილების წესიერ და შერჩეულ მასალით კვებას, რადგან წიწილების აღზრდის ერთერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს ის, თუ რა რაოდენობით იქნება საკვებში ვიტამინები, ცხიმები, მინერალური ნივთიერებანი, ცილები და ნახშირწყლები, რომლებიც, საუკეთესო მასაზრდოებელია ფრინველისათვის, აგრეთვე საჭიროა სუფთა ჰაერი, მზის სხივები და ისეთი მწვანე ველი (ათასი ფრინველისათვის საკმარისია ერთი ჰექტარი), სადაც გამუდმებით უნდა იყაროს საკენკად ხის ნახშირი, დამქრალი კირი, ხრეში. ლოკოკინების დაფქვილი ნიჟარები, საჭმელი მარილი, სადაც უნდა მოიპოვებოდეს სუფთა წყალი და სხვა.

სამრეწველო ჯიშიანი მეფრინველეობის ფართოდ განვითარება მოითხოვს მეტ სერიოზულ ყურადღებას. ხელი უნდა მოვკიდოთ საუკეთესო საკვერცხე, იტალიური ლეგჰორნის ჯიშის ქათმების მოშენებას, რომლებიც ჩვენს კლიმატიურ პირობებს კარგად ეგუება. აღნიშნული ჯიშის ქათმები წლიურად 300 მეტ კვერცხს დებენ, მათი წიწილები მალე იზრდებიან, ექვს თვეზე უკვე კვერცხის დებას იწყებენ; ლეგჰორნის ჯიშის თვითეული მამალი იწონის 2.7 კილოგრამზე მეტს; მამლის მაწარმოებელი პერიოდი 4 წლამდე აღწევს; დედალი საშუალოდ 2,25 კილოგრამს იწონის, მაწარმოებელი პერიოდი ხუთი წელია.

კვერცხს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. 1933 წელს საქკავფრინველმა დაამზადა 246.315 ცალი კვერცხი, 1934 წელს უნდა დამზადდეს 6.150.240 ცალი აქედან წელს სამ კვარტალში უკვე დამზადებულია 4.193.280.

კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოვაშენოთ საუკეთესო სამრეწველო. ამერიკული როდ-აილანდის ჯიშის ქათამი რომელიც წარმოადგენს ძვირფას სახორცე და ამავე დროს საკვერცხე ჯიშსაც; წლიურად დებს 250 კვერცხს მისი წიწილები მალე იზრდებიან, მამალი იწონის 3,8 კილოგრამს, დედალი 3 კილოგრამამდე.

საინტერესოა აგრეთვე ამერიკული თეთრი ვიანდოტის ჯიში, რომელიც წარმოიშვა ჰამბურგისა და ბრამას მეტისიდან, ის ამტანია, კარგი სამრეწველო სახორცე ჯიშია, ნაზი და გემრიელი ხორცი აქვს, წლიურად დებს 260 ცალამდე კვერცხს, იძლევა ხორცს დაახლოებით იმ რაოდენობით, რასაც როდ-აილანდის ჯიში.

საქართველოში წყლის ფრინველების და ინდაურების მოშენებას ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგალითად, 1929 წლის ცნობით ყოველ 100 ფრთა ფრინველზე ქათამი 91,7 პროცენტს შეადგენდა, ინდაური 2,9, ბატი 3,7, იხვი, 1,7 პროცენტს. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს ბუნებრივი პირობები (მდინარეები, ტბები) საუკეთესო პერსპექტივებს ქმნის წყლის ფრინველების ფართოდ განვითარებისათვის; წყლის ფრინველების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მინდვრად და წყლებში თვითონ ნახულობენ საკვებს, რაც აიაფებს პროდუქციის თვითღირებულებას.

წყლის ფრინველები და ინდაურები წარმოადგენენ უმთავრესად სახორცე ჯიშებს, გარდა ამისა იძლევიან საუკეთესო ხარისხის ბუმბულს, რომელიც ძვირფას საექსპორტო საქონელს წარმოადგენს. მარტო საქართველოში (ცეკავშირის ხაზით) წელს გეგმით 200 ცენტნერი ბუმბული უნდა დამზადდეს. ბუმბულის დახარისხება და დასუფთავებისათვის ქალაქ ზარაფხაში მუშაობს სპეციალური ფაბრიკა, რომელიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

პირველხარისხოვან ბუმბულს იძლევა ბატი, შემდეგ იხვი, ინდაური და შედარებით ნაკლებს ქათამი. როგორც ზევით ვწერდით, წყლის ფრინველები ამასთან ერთად იძლევიან, საუკეთესო ხარისხის ხორცსაც, ამიტომ მათი მოშენებას და ფართოდ გავრცელებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენს პირობებში ადგილობრივ გაუმჯობესებულ ჯიშებთან ერთად მიზანშეწონილია მოვაშენოთ ფრანგული ტულუზის ჯიშის ბატი, რომლის თვითეული კვერცხი იწონის 200 გრამზე მეტს, კარგათ ეგუება წყლიან ადგილებს, მალე იზრდება, საუცხოო ცვრიანი და გემრიელი ხორცი აქვს, იწონის 11,8 კილოგრამს; მაწარმოებელი პერიოდი 6—8 წლამდე აღწევს. საუკეთესო სამრეწველო ჯიშებად ითვლება აგრეთვე ჩინური და ხოლმოგორის ჯიშის ბატებიც.

არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს იხვების მოშენებაც. საჭიროა ხელი მოვკიდოთ პეკინის იხვის განვითარებას, რომელიც საქართველოში გასული საუკუნის ბოლო წლებში შემოიყვანეს, კარგი ამტანი სამრეწველო სახორცე ჯიშია, წლიურად გვაძლევს 120 ცალ კვერცხს, იწონის 4 კილოგრამს, ნაზი, ცვრიანი და გემრიელი ხორცი აქვს. აგრეთვე ინდოეთის ჯიშის იხვი, რომელიც კარგად ეგუება მშრალ ადგილებსაც.

მეიხვეობის განვითარებისათვის მუშაობა უკვე დაწყებულია: მაგალითად, ზუგდიდის მეფრინველეობის ფერმაში მოშენებული ყავთ 500 ფრთა პეკინის იხვი. საქ. პოლიტსამმართველოს ბათომის საბჭოთა მეურნეობას ყავს პეკინის და ინდოეთის ჯიშის იხვები. „საქკვებვაჭრობა“ ბაზალეთის ტბაზე აწყობს მეიხვეობის საბჭოთა მეურნეობას, ამ საქმისათვის წელს გადადებულია 300 ათასი მანეთი, გამოყოფილია 250 ჰექტარი ფართობი, მოთავრდება ერთი საიხვე 10.000 ფრთის ტევადობით. აქვე მოეწყობა სამი ბრუდერჰაუსი, რომელიც ყოველწლიურად აღზრდის 15.000 იხვის წიწილს; შეძენილია ინკუბატორები, დაწყებულია მიდამოების გამწვანება და სხვ. მაგრამ ჩატარებული მუშაობა მაინც არ არის მთლიანად დამაკმაყოფილებელი, იგი მოითხოვს კიდევ მეტ ყურადღებას.

ჩვენში დიდი პერსპექტივა აქვს სამრეწველო ინდაურების მოშენებასაც. სახელდობრ უნდა გავავრცელოთ ინგლისური ნორფოლკის ჯიშის და ამერიკული ბრინჯაოს ფერის ინდაურები. ამ უკანასკნელი ჯიშის მამალი იწონის 16,3 კილოგრამს, დედალი 9,1 კილოგრამს, საუკეთესო ცვრიანი, ნაზი, თეთრი გემრიელი ხორცი აქვს და მაღალი ხარისხის გამო მთელ მსოფლიოში არა ყავს კონკურენტი. ინდაური ვერ იტანს ზედმეტ სინესტეს და სიცხეს; ამიტომ მიზანშეწონილი იქნება აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მომეტებულად მოვაშენოთ, ვინემ დასავლეთში. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, მოითხოვს კიდევ სათანადო ცდებს და დაკვირვებებს.

საერთოდ საქართველოში მეფრინველეობა სხვადასხვა ჯიშებისა და მიხედვით არ არის შესწავლილი, ამიტომ საქმიწსახკომმა მეტი სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დარგის განვითარებას.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ საქმიწსახკომის უშუალო ხელმძღვანელობით რაიონებისდა მიხედვით (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო) მოეწყოს მეფრინველეობის საცდელ-საგამოკვლევო სადგურები, სადაც უნდა მოხდეს ადგილობრივი და უცხო ჯიშების შესწავლასთან ერთად ახალი მეტისების გამოყვანა.

ამჟამად უახლოესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ მეფრინველეობის არსებული ფერმები და მოვაწყოთ ახალი, ფერმებში უნდა გავაძლიეროთ ზოოტექნიკური და ვეტერინალური მომსახურეობა, შევქმნათ მტკიცე და კვალიფიციური კადრები. ხელი მოვკიდოთ სამრეწველო ჯიშების მოშენებას და საინკუბაციო სადგურები და საბატარეო ბრუდერები ნამდვილად გადავაქციოთ სოციალისტური მეფრინველეობის სწრაფი განვითარების მთავარ კერებად.

◆

წერილები რედაქციისადმი

რა უნდათ მათ კოლმეურნეობის სავაჭროში?

ტფილისში, ბესიკის ქუჩაზე (სახლი № 14) გახსნილია საკოლმეურნეო სავაჭრო წერტი, რომელიც ეკუთვნის სოფ. მუხრაანის კოლმეურნეობა „პირველ მაისს“.

წერტში იყიდება ხორცი და სხვა პროდუქტები. ფასები აქ დაახლოებით 20 პროც. მეტია, ვიდრე სხვა საკოლმეურნეო წერტებში. პროდუქტებს კერძო ბაზარზე იძენენ, რაც აშკარა დამახინჯებაა საკოლმეურნეო ვაჭრობის პრინციპებისა. მომხმარებლებს უხეშად ეპყრობიან (იხილეთ საჩივართა წიგნი.)

წერტის ოთხი თანამშრომელი (რუბენ ხაჩატუროვი და სხვები) კოლმეურნეობის წევრები არ არიან. ხაჩატუროვი ტფილისის მკვიდრი მცხოვრებია, ყოფილი ყასაბი. საკუთარი დუქანი ჰქონდა ავლაბარში. საინტერესოა როგორ მოხვდა ეს კაცი კოლმეურნეობის სავაჭროში!

„პირველი მაისის“ სავაჭრო წერტს გაჯანსაღება უნდა.

პ. დავაშვილი.

უპატრონო სამკითხველო

(სახ. საბჭოს წევრის წერილი)

სოფ. პატარა ატენის (გორის რაიონი) სამკითხველო ვერ უწევს სათანადო კულტმომსახურებას ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობას.

ავლაპარაკოთ ფაქტები: სამკითხველოს მოეპოვება ჟურნალ - გაზეთები და ლიტერატურაც. მაგრამ მკითხველთათვის ეს გამოუყენებელია, რადგანაც ქოხსამკითხველო უფრო ხშირად დაკეტილია.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მარსაგიშვილი ყოველივე ამას გულგრილად შეცქერის და თავის მხრივ არავითარ ზომებს არ ღებულობს ამის წინააღმდეგ.

საჭიროა გორის რაიგანათლების განყოფილებამ მიიღოს სათანადო ზომები სამკითხველოს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დ. ჯოიშვილი.

გამოხმაურება გამოუქვეყნებელ წერილებზე

საჭიროა ყურადღების მიქცევა

„კომუნისტის“ რედაქციამ ამ სათაურით გ. წ. 28 ოქტომბერს მიიღო წერილი. წერილის ავტორი აღნიშნავდა სოფ. ზემოავჭალაში (გ.-უბნის რაიონი) საკლუბო და კულტ-მასობრივი მუშაობის დეფექტებს.

„კომუნისტის“ რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა გარეუბნის (ტფილისი) რაიგანათლების განყოფილებას, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კლუბ-სამკითხველოს გამგე მოხსნილია სამუშაოდან, და მიღებულია ზომები საკლუბო მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ავხადოთ ნიღაბი ბნელ საქმეებს

„კომუნისტის“ რედაქციამ ამ სათაურით გ. წ. 20 ნოემბერს მიიღო წერილი. წერილის ავტორი ბრალს დებდა ქობულეთის სამხედრო ორგანიზაციის სამეურნეო მეურნეობის დირექტორს ქ. გრადინარს და საწყობის გამგე იაცენკოს თვითმომარაგებას და სპეკულანტობაში.

„კომუნისტის“ რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ქობულეთის რაიპროკურორს, რომელიც გვატყობინებს რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. გრადინარი მიცემულია პასუხისგებაში სსკ. 118 მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო საწყობის გამგე იაცენკოს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის“ ა.-წ. 11 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „კომბინატორები გამოტყდენ და“..., რომელიც შეეხებოდა დუშეთის რაიფინგანის ბუხჰალტრებს: გ. კობიაშვილს და ხუციაშვილს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ბანკიდან ყალბი საბუთებით ფულის გამოტანა.

დუშეთის რაიაღმასკომი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა, რის გამო გ. კობიაშვილი და ხუციაშვილი მიცემული არიან პასუხისგებაში.

დამთავრდა გასტინგსის ტურნირი

პირველი სამი ჯილდო გაიყვეს ტომასმა, ეივემ და ფლორმა

გასტინგსი, 6 იანვარი. უკანასკნელ, მე-9 ტურზე მოხდა მთელი რიგი მოულოდნელი შემთხვევა. მიტჩელმა მოუგო ტომასს, რომელმაც კემბრიჯის დაცვა სუსტად გაითამაშა. ეივემ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერ შესძლო მოეგო ნორმანისათვის და დათანხმდა ყაიმზე. ფლორმა, რომელიც შავებით თამაშობდა, კარგად ჩაატარა თავისი პარტია, ისე როგორც მთელი ტურნირიც, და მოუგო მილნერბერის.

ლილიენტალმა დასაწყისში მოუგო პაიკი ვერა მენჩიკს, მაგრამ ენდშპილში იძულებული გახდა ყაიმზე დათანხმებულიყო.

ბოტვინიკი, რომელმაც კაპაბლანკასთან ჰოლანდიური პარტია გაითამაშა, მოხვდა მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ შესძლო ყაიმის მიღწევა. ტურნირი დასრულდა.

პირველი სამი ჯილდო მოულოდნელად გაიყვეს ტომასმა, ეივემ და ფლორმა, რომელთაც აქვთ 5 ნახევარი ქულა თითოს. მეოთხე ჯილდო მიიღო კაპაბლანკამ—5,5 ქულა. შემდეგ მისდევენ ბოტვინიკი და ლილიენტალი—5 ქულა თითოს, მიტჩელი—პლუს 4, მენჩიკი—პლუს 3, ბოლოს მილნერბერი და ნორმანი—1 ნახევარი თითოს (ადს).

მ. მ. ბოტვინიკი გასტინგსის ტურნირის შესახებ

გასტინგსში დამთავრებულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს დიდი სასპორტო ინტერესი ჰქონდა. ყველანი ცდილობდნენ მთელი თავისი [illegible] ეთამაშნათ,



მაგრამ [illegible] შედეგები შემთხვევითი და არადამახასიათებელი აღმოჩნდა. საგრძნობ წილად ეს აიხსნება მეტად მოკლე დისტანციით, სულ გათამაშდა 9 ტური.

არავის შეეძლო გაეთვალისწინებია საბოლოო შედეგი, რომელიც ყველასათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ყველაზე უკეთესად, უეჭველია, ფლორი თამაშობდა. მას არც ერთ პარტიაში ცუდი მდგომარეობა არ ჰქონია.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაპაბლანკას თამაშმა. მართალია, დასაწყისში იგი სიმტკიცეს ვერ იჩენდა, მაგრამ შემდეგ ჰპოვა ძალა და თავისთავი [illegible].

ეივეს ამ ტურნირში ბედი სწყალობდა. სამი პარტია მას წასაგებ მდგომარეობაში ჰქონდა, მაგრამ დამარცხებას თავი დააღწია მხოლოდ მოწინააღმდეგეთა უმართებულო კომბინაციების მეოხებით. ტომასმა შემთხვევით მოუგო კაპაბლანკას. შემთხვევით მომიგო მეც. ლილიენტალი [illegible] სერიოზული მოთამაშეა, მაგრამ ზოგჯერ დიდ შეცდომებს უშვებს. ყველაზე უფრო სუსტად იგი ინგლისელების წინაშე [illegible] თამაშობდა.

დასაწყისში მე უფრო ცუდად ვთამაშობდი, ვიდრე სხვა ტურნირებში, რომლებშიაც კი მონაწილეობა მიმიღია. განსაკუთრებით უკმაყოფილო ვარ ჩემი პარტიით ეივესთან. ჩემთვის რამდენადმე უჩვეულო იყო თამაშის ფორმალური პირობები ამ ტურნირში.

გასტინგსის ტურნირზე ჩვენ შევძელით [illegible] ის უდიდესი ინტერესი, რომლითაც საბჭოთა კავშირში საჭადრაკო თამაშს ეპყრობიან. ჩვენ ყოველდღე ათობით ვღებულობდით დეპეშებს, ზოგჯერ დღეში რამდენიმეჯერ გვიხმობდენ ტელეფონით მოსკოვიდან.

საზღვარგარეთ ჩვენ დიდი თავაზიანობით გვეპყრობოდენ და ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდენ საბჭოთა მოჭადრაკეებისადმი.

მე მივიღე მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი მიმეცა სეანსები როტერდამში, ბრიუსელში და სხვა ქალაქებში. ჩვენ ტურნირის ყველა მონაწილე მეგობრულად გვეპყრობოდა.

მოსკოვში მოწვეული გროსმეისტერები ერთი წუთითაც არ გვშორდებოდენ. საბჭოთა პრესის წარმომადგენელს ამხ. ვაინშტეინს ესტრადაზე სპეციალური მაგიდა ედგა, და ინგლისელი კორესპონდენტები მას ყოველგვარ დახმარებას უწევდენ.

ფრიად სიმპტომატიურია უცხოელი მოჭადრაკეების დამოკიდებულება მომავალი საერთაშორისო ტურნირისადმი მოსკოვში. კაპაბლანკა და ფლორი აცხადებდენ, რომ ისინი შეუპოვრად იბრძოლებენ პირველი ადგილისათვის, ვინაიდან „ეს იქნება ნამდვილი ტურნირი, რომელშიაც პირველი ადგილის მოპოვება დიდი მიღწევაა".

ლილიენტალი მოეშურება საბჭოთა კავშირისაკენ. ყველანი საბჭოთა კავშირში დიდი ინტერესით და ხალისით მოდიან და მხოლოდ ტომასმა უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე. ყველა მათ სურთ საბჭოთა კავშირში იყვნენ უკვე 5 თებერვალს, მათი ერთადერთი სურვილია დაცულ იქნას ტურნირის ვადა და იგი გაიხსნას არა უგვიანეს 15 თებერვლისა.

კაპაბლანკა და ფლორი აპირებენ მისცენ მოსკოვსა და ლენინგრადში ერთდროული თამაშის სეანსები.

მ. ბოტვინიკი

ბიბლიოგრაფია

სტენდალი. „წითელი და შავი" თარგმანი გ. ქიქოძის. სახელგამი 1934 წ. გვ. 217„ ფასი უდით 5 მან. 50 კაპ.

საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, ნაპოლეონის არმიის ინტენდანტი და რომანისტი ჰანრი ბეილი (სტენდალი) სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა იმ ხანებში, როდესაც ლიტერატურაში გაბატონებული იყვნენ რომანტიკოსები. ამ უკანასკნელთა მხატვრული მეთოდი სინამდვილის უარყოფიდან გამომდინარეობდა. სტენდალმა ამ მეთოდს თავისი მეთოდი, სინამდვილის მხატვრულად გახსნის მეთოდი დაუპირდაპირა, რომელიც თვით ამ სინამდვილის შესწავლას ემყარებოდა, და ამრიგად საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ სკოლას.

სტენდალის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მთავარია რომანები „წითელი და შავი", „წითელი და თეთრი" და „პარმის მონასტერი".

ყველა ამ ნაწერებში სტენდალი გამოდის წვრილი მესაკუთრის, ანგარებით გაძლიერებულ წვრილი ბურჟუაზიის მესაიდუმლედ, რომლის აღმავლობა სოციალურ კიბეზე ნაპოლეონის ეპოქაში დაიწყო. მისი გმირი ჟიულენ სორელი („წითელი და შავი") გულდაწყვეტილი იგონებს ნაპოლეონის დროს, როდესაც მისებრ გლეხურ წრიდან გამოსულთ საშუალება ჰქონდათ მარშლად გამხდარიყვნენ და „ხალხისთვის ემსახურნათ" ახლა კი, ნაპოლეონის დამხობის შემდეგ ის ლუკმა პურის გულისათვის იძულებულია გაბრწყინებულ არისტოკრატიას ემსახუროს, ანდა იეზუიტურ ეკლესიას შეაფაროს თავი.

სტენდალის ლიტერატურული მოღვაწეობა 1830 და 1848 წლების რევოლუციათა შუა ეპოქაში მიმდინარეობდა. უდიდეს სოციალურ ძვრებს, რომლებიც მის თვალწინ ხდებოდა, სტენდალი გულგრილად უცქეროდა. 1830 წლის რევოლუცია ფრანგული თეატრის კოლონადიდან დავინახეო, ამბობს ის. მან არ მიიღო რევოლუცია, როგორც „სოციალურ წესწყობილებაში ფუძეულ შესწორებების შეტანის საშუალება", ის ფიქრობდა, რომ ასეთი ცვლილებების შეტანა მოხდება არა რევოლუციის, არამედ ხალხის კულტურული დონის თანდათანობითი ამაღლების შედეგად.

სტენდალმა მოგვცა თავისი ეპოქის მკვეთრი სოციალური სურათები, შექმნა დიდი მხატვრული ტილოები, მისი შემოქმედება ფრიად თანადროული და კლასობრივად გამიზნული იყო. ყველა ეს აქტუალურად ხდის სტენდალს ჩვენი მკითხველისათვის.

წიგნს წამძღვარებული აქვს ჰანრი ბეილის მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი, დაწერილი გ. ქიქოძის მიერ. ავტორი ძირითადად სწორ ორიენტაციას აძლევს მკითხველს სტენდალის გაგებისათვის.

„წითელი და შავის" თარგმანი ოსტატურადაა შესრულებული. მცირე შენიშვნა. ტანისამოსზე ლაპარაკის დროს მატერიის ნაცვლად, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა ქსოვილი გვეხმარა (გვ. 179).

წიგნი გამოცემულია ლამაზად, მხოლოდ ფასი (5 მან. 50 კაპ.) არც თუ ისე ხელმისაწვდომია.

შ. ბუაჩიძე.

ვალდებულება შეასრულეს

ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშათა დახურულ კოოპერატივის მუშაკები ისწინათ ჩაებნენ საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობის სახ. ლაშქრობაში. მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეესრულებინათ საქონელბრუნვის გეგმა.

კოოპერატივის მუშაკებმა თავიანთი ვალდებულება პირნათლად შეასრულეს. საქონელბრუნვის გეგმა 800 ათასი მან. ნაცვლად, 801.183 მან. რაოდენობით შეასრულეს. (გეგმის 100,1 პროც.).

პურის შეგროვების გეგმაც ასევე გადაჭარბებით შესრულდა; 15 ათასი მანეთის ნაცვლად შეგროვილია 15.207 მან. (გეგმის 101,3 პროც.).

ეს გამარჯვება თამბაქოს ფაბრიკების მუშათა დახურულ კოოპერატივების მუშაკებმა მოიპოვეს თავიანთი მუშაობის რადიკალური გარდაქმნით და საბჭოთა კულტურული ვაჭრობისათვის ნამდვილი ბრძოლით.

ბაკურიანში გაიხსნა ზამთრის სპორტის საკავშირო ბაზა

სურათზე; მარცხნიდან მარჯვნივ: 1) მეთხილამურე ალი თინა კერი, 2) ა.-კ. ინდუსტრიალურ ინსტიტუტის სტუდენტები თხილამურებით, 3) საბჭოთა კავშირის ფალავანი ამხ. **ხორკოვი** ხტომის მომენტში.

თხილამურებით სრიალი ბაკურიანში პირველად ადგილობრივი ბოტანიკური ბაღის გამგემ ამხ. კოზლოვსკიმ დაიწყო.

1929 წელში განსვენებულმა პროფესორმა **გიორგი ნიკოლაძემ** ჩამოაყალიბა „მეთხილამურეთა" პატარა ჯგუფი, რომელმაც პირველად მოიარა თხილამურებით ბაკურიანის მთების თოვლიანი კალთები. პირველმა სათხილამურო გამოსვლამ დიდი გამოძახილი ჰპოვა და ახლა ბაკურიანში „მეთხილამურეთა" ჯგუფებს უკვე ხშირად ნახავთ.

ბაკურიანს, როგორც სათხილამურო ბაზისათვის საუკეთესო ადგილს, დიდი ყურადღება მიექცა. ბაკურიანში სათხილამურო ბაზის მოწყობაში დიდი ამაგი მიუძღვის განსვენებულ **გიტო გიორგაძეს**.

მიმდინარე წლისთვის გათვალისწინებული მუშაობა ამჟამად თითქმის დამთავრებულია. გამზადებულია ბოგები თხილამურებით ხტომისათვის, მზად არის დასასვენებელი სახლი 50 კაცისათვის და სხვ.

6 იანვარს შესდგა ბაკურიანის საკავშირო ზამთრის სასპორტო ბაზის საზეიმო გახსნა, რომელზედაც თავი მოიყარეს ტფილისიდან სპეციალური მატარებლით მოსულმა 250-მდე მეთხილამურემ და სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლებმა.

საზეიმო მიტინგზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ პროფსაბჭოს, ა.-კ. და საქართველოს ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს, პროლეტარულ ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებისა და სხვა მრავალი ორგანიზაციის წარმომადგენელნი. მათ აღნიშნეს ის დიდი როლი, რომელიც ექნება ბაკურიანის ბაზას საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარების საქმეში.

სასპორტო საჩვენებელ შეჯიბრებაში მოსკოველმა მეთხილამურეებმა ამხ. **როდიონოვმა, ხორკოვმა, ლებედევმა** და **კუზნეცოვმა** გააცნეს მაყურებლებს მთიდან თხილამურებით დაშვების სხვადასხვა სახე, რის შემდეგაც იწყება ბოგებიდან თხილამურებით ხტომა. თხილამურებით ხტომა ბოგიდან პირველად იყო ნაჩვენები საქართველოს ტერიტორიაზე და დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

თხილამურებით ბოგიდან ხტომაში მონაწილეობას იღებენ საკავშირო ფალავანი ამხ. **ხორკოვი**, რომლის საკავშირო რეკორდი (ნახტომის ტრაექტორია) 44 ნახ. მეტრს უდრის, ბოგიდან თხილამურებით ხტომის ოსტატი 18 წლის **კირილოვი, ლებედევი**, მოსკოვის ფალავანი **როდიონოვი** და **კუზნეცოვი**. განსაკუთრებით ლამაზი იყო ამხ. ლებედევის, ხორკოვის და კუზნეცოვის ნახტომები. ხტომის ლამაზი ტექნიკით მათ აღფრთოვანებაში მოიყვანეს ყველა დამსწრე.

თ. ფერაძე.

საბავშვო ბაღების გამგეთა მოსამზადებელი კურსები

საქ. ჯანსახკომის დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის სამმართველომ ბავშვთა ბაგების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოაწყო საბავშვო ბაგების გამგეთა და აღმზრდელთა ორთვიანი მოსამზადებელი კურსები. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან კურსებზე მსმენელებად მოწვეულია 60 ქალი. მეცადინეობა დაიწყო 1 იანვარს. აქვე თეორიული ცოდნის ასამაღლებლად და პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად მივლინებული არიან ტფილისის საბავშვო ბაგეების მუშაკები. მსმენელები უზრუნველყოფილი არიან ბინით, სტიპენდიით და მიმაგრებული დახურულ სასადილოზე.

რესპუბლიკური თათბირი კრიტიკის საკითხებზე

საქ. მწერალთა კავშირის პლენუმთან დაკავშირებით, რომელიც ამ დღეებში მოსკოვში შესდგება, საქართველოს მწერალთა კავშირი 13 იანვარს, ხელოვნეთა სახლში (მაჩაბლის ქუჩა № 13) მართავს რესპუბლიკურ თათბირს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის საკითხებზე.

მოხსენებას თემაზე: „ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და მისი ამოცანები" გააკეთებენ ამხ. ბესარიონ ჟღენტი და დ. დემეტრაძე.

თათბირზე მოწვეულნი არიან მწერლები, კრიტიკოსები, ლიტერატურის ისტორიის და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის მეცნიერული მუშაკები, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ენიმკის, საგამომცემლო ორგანოების, სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების და აგრეთვე მწერალთა კავშირის ქუთაისის და აჭარისტანის განყოფილებების წარმომადგენლები.

რესპუბლიკური თათბირი განიხილავს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის ახლანდელ მდგომარეობას და დასახავს ღონისძიებებს მომავალ, ნაყოფიერ მუშაობისათვის.

6 მილიონი მანეთი

დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის საქმეს

დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად: (საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად და სათანადო მომარაგების მიზნით) საკონტროლო ციფრებად გათვალისწინებულია დაახლოებით 6 მილიონი მანეთი.

ლენინგრადში 2.740 ათასი მცხოვრებია

ლენინგრადის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ცნობით 1935 წლის 1-ლი იანვრისათვის ლენინგრადში ირიცხება 2.740 ათასი მცხოვრები.

საბჭოების ყრილობის დელეგატთა მომსახურებისათვის

საქ. პროლეტარული ექსკურსიებისა და ტურიზმის საზოგადოება წარმატებით ემზადება ა.-კ. საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატების მომსახურებისათვის.

საზოგადოება მოაწყობს ყრილობის დელეგატთა ექსკურსიებს დაახლოებით 30 ფაბრიკასა და ქარხანაში. მათ შორის დელეგატები დაათვალიერებენ ამხ. სტალინის სახ. ტფილისის ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანას, აბრეშუმის ფაბრიკას, საქ. სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკას და სხვ.

დელეგატები დაათვალიერებენ დაახლოებით 13-მდე მუზეუმს, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხ.

გარდა ამისა, დელეგატებისათვის მოწყობილ იქნება ექსკურსიები მშენებლობაზე (წისქვილის კომბინატი, ფეხსაცმელების ფაბრიკა, ავტოსარემონტო ქარხანა და სხ.).

აგრეთვე ინახულებენ ელექტროფიცირებულ უბანს ტფილისსა და მცხეთას შორის.

დელეგატებისთვის ახსნა-განმარტების მისაცემად სპეციალური პირები არიან გამოყოფილი.

გამომგონებელთა გამოფენა

საქ. გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ ფართოდ გაშალა მუშაობა ა.-კ. საბჭოების ყრილობის შეხვედრად.

გამომგონებელთა საზოგადოება აწყობს ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ტრანსპორტის ყველა დარგში ტექნიკის [illegible] ექსპონატები და მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებში გამოგონებათა ექსპონატები.

გამომგონებელთა საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა ტფილისში ექსპონატების შეგროვებას.

საქართველოს მუზეუმი ახლო მომავალში აწყობს კავკასიის ხალხთა ძველი დროის ტანსაცმელების მდიდარ გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ყველა წოდების ტანსაცმელი.

სურათზე: აჭარელი ნაციონალურ ტანსაცმელში.

აღმოჩენილია შამილის სამი წერილი

საქართველოს მუზეუმმა ერთერთ კერძო არქივში აღმოაჩინა შამილის სამი ახალი გამოუქვეყნებელი წერილი (შამილი—ჩეჩნეთის და დაღესტნის მთიელთა მეთაური ცარიზმთან ბრძოლაში).

ერთი წერილი ეკუთვნის 1864 წელს. შამილს იგი დაუწერია კალუგაში, სადაც ის დატყვევების შემდეგ იმყოფებოდა. წერილი მიმართულია კაპიტან რუნოვსკისადმი, რომელიც მსახურობდა განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცრად კავკასიის არმიის მთავარსარდალთან.

ორი სხვა წერილი ეკუთვნის 1855 წელს. ისინი მიმართულია ხასავ-იურტის სიმაგრის უფროსისადმი, გენერალ ნიკოლაისადმი. ერთ წერილში შამილი აფრთხილებს ნიკოლაის, რომ თუ დატყვევებულ მთიელებს ციმბირში გაგზავნიან, მაშინ შამილი მის მიერ დატყვევებულ რუსებს სამარისაკენ გაისტუმრებს.

წერილები დაწერილია არაბულ ენაზე, რომელიც მაშინ დაღესტანში ერთადერთი სალიტერატურო ენა იყო. წერილები გამოქვეყნდება არაბული ტექსტით, ქართულ-რუსული თარგმანის დართვით.

ახალი სასკოლო შენობა ნინოშვილის თემში

ნინოშვილის თემში (ლანჩხუთის რაიონი) ნინოშვილის სახელობის არასრულ საშუალო სკოლისათვის თემის მშრომელი მოსახლეობის ინიციატივით ამ რამდენიმე თვის წინათ დაიწყეს ახალი შენობის აგება. მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მშენებლობა უკვე დასრულდა. შენობა აგებულია ლამაზად. მასში მოეწყო 6 საკლასო ოთახი.

აღსანიშნავია მშენებლობაზე ზოგიერთი ამხანაგების ენერგიული მუშაობა. ნებაყოფლობის საფუძველზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ბ. კუპრაძემ, ს. ტუღუშმა, ი. ღლონტმა, ვ. გოგუაძემ და ნ. ტუღუშმა ფულად თანხებიც გაიღეს—150—150 მანეთი თვითეულმა.

ნინოშვილის თემის მოსახლეობის მაგალითს სხვა თემებმაც უნდა მიბაძონ.

ავაგოთ „კომუნისტის" ესკადრილია!

სოგი. გაზ. „სოციალიზმის მშენებლის" რედაქციამ დამატებით შეაგროვა „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად და გადმოგვირიცხათ 547 მანეთი და 93 კაპ.

გ. ფირცხალავა.

ჭიათურის მთავარი მექანიკური სახელოსნოს ელსადგურის სამთო-საფაბრიკო სკოლის და ავტოგარაჟის მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ 1125 მანეთი და 69 კაპ.

ჯ. კუპაშვილი.

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო [illegible] ინსტიტუტის თანამშრომლებს შეაქვთ 100 მანეთი და იწვევენ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის მუშაკებს.

ფალავანდიშვილი, რაზმაძე.

ზ. ურუშაძის გამოწვევით შემომაქვს 15 მანეთი და ვიწვევ: ლ. და მ. საჯაიებს, ი. და ლ. დავიდოვებს, ს. ჯანჯღავას, ზ. მონიავას, ე. ჭაჭიას და ვ. შოთაძეს.

გ. ჯანჯღავა.

კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის და საქართველოს წიგნის პალატის მუშაკთა კოლექტივს შემოაქვს 453 მან. და იწვევს სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის და ა.-კ. უმაღლეს სასოფლო სამეურნეო კომუნისტური სკოლის ბიბლიოთეკებს.

8 იანვრისათვის „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში სულ შემოსულია 285.825 მან. და 88 კაპ.

სპორტისა და ფიზკულტურის მაღაზია

ა.-კ. ფედერაციის მოედანზე გაიხსნა „დინამოს" სპორტისა და ფიზკულტურის ახალი დიდი მაღაზია.

მაღაზია შიგნიდანაც და გარედანაც მხატვრულად არის გაფორმებული. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი მოწყობილობა სპორტისა და ფიზკულტურისათვის.

სასამართლო

მხეცი მელიქიშვილი

ვასილ კურიროვი, სპეციალობით დურგალი, გასული წლის 21 ივლისს მიემგზავრებოდა ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ჩოხატაურის რაიონი) სიდედრის და ცოლის სანახავად. მას თან მიჰქონდა ერთი საკმაოდ მოზრდილი ჩემოდანი, რომელიც სავსე იყო ტანისამოსით და სხ. ნივთებით. კურიროვი საქართველოში პირველად არის. მან არ იცის, თუ სად არის გზა ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობისაკენ. იგი ჩამოვიდა სენაკის სადგურზე და შემხვედრთ ეკითხებოდა გზის მიმართულებას. კურიროვს სადგურზე შეხვდა ამავე მეურნეობის ტრაქტორისტი სიმონ მელიქიშვილი, რომელიც მეურნეობის დირექციამ მოხსნა უვარგისი და უპასუხისმგებლო მუშაობისათვის.

— ხომ ვერ იცით გზა ლესიჭინის მეურნეობისაკენ: — მიმართა კურიროვმა მელიქიშვილს.

— როგორ არა. მე იქ ვმუშაობ ტრაქტორისტად. თქვენ ვისთან მიდიხართ? შეეკითხა მელიქიშვილი.

— ანნა და მარუსია კურიროვებთან.

— მე მათ ძალიან კარგად ვიცნობ, — მიუგო მელიქიშვილმა.

შემდეგ კურიროვი შეუდგა ბინის ძებნას, რადგანაც მანქანა მეორე დღემდე ვერ ჩამოვიდოდა.

— ნუ სწუხდებით. ამაღამ ჩემთან წამოდი, მე გაგათევინებ ღამეს და დილას ერთად წავიდეთ ლესიჭინეში—უთხრა მელიქიშვილმა და სტუმარმა „გულკეთილი მასპინძელი" სადილზე მიიპატიჟა, მაგრამ „მასპინძელი" რატომღაც უარზე დადგა.

ღამდება.

— ვასილ, წავიდეთ სახლში. მოვისვენოთ, დილას ადრე ავდგეთ და მანქანას გავყვეთ — უთხრა მელიქიშვილმა და ორივენი გზას გაუდგნენ.

მელიქიშვილმა სტუმარი წაიყვანა სახარბედიოს მთის მიმართულებით, იქეთ, საითკენაც მოსახლეობა არ არის, და ცოტა უკან ჩამორჩა.. ჯიბიდან ამოიღო გალესილი დანა და მოემზადა... კიდევ ცოტა მანძილი გაიარეს და მელიქიშვილმა გალესილი დანა დასცა კურიროვს ყელში. უგრძნობი კურიროვი იქვე დაეცა. მელიქიშვილმა მთლიანად გაძარცვა კურიროვი და იმავე ღამეს გაემგზავრა ტფილისს. სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ დააპატიმრეს.

მელიქიშვილის საქმე 1934 წ. 28 დეკემბერს გაარჩია სენაკის უბნის სახალხო სასამართლომ მოსამართლე **ვიქტორ ჯავახიას** თავმჯდომარეობით. ყაჩაღ სიმონ მელიქიშვილს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შორეულ ადგილას მოხდით.

ვ. ბ.

სოფელ გეგელიძეების (ქედის რაიონი) კოლმ. „წითელი დროშა"-ს დამკვრელმა კოლმეურნემ მუსტაფა ხალვაშმა წელს გამოიმუშავა 246 შრომა დღე, მიიღო კოლმეურნეობიდან 700 მანეთი ფულად, 860 ფუთი სიმინდი, ხორბალი და 4 ფუთი თამბაქო. შეიძინა კულტურული საქონელი, ტანსაცმელი ფეხსაცმელი და სხვ.

სურათზე: მუსტაფას პატარა გოგონა ახალ ტანსაცმელში თავის „იგანურის" მეგობართან".

ხელოვნება

„ცხვრის წყარო" სოხუმის აფხაზურ თეატრში

24 დეკემბერს გაიხსნა აფხაზური დრამატული თეატრის სეზონი დაიდგა პიესა „ცხვრის წყარო".

აფხაზურ თეატრს სულ ოთხი წლის ისტორია აქვს. წინად აფხაზეთს არ ჰქონდა თეატრი. ისე, როგორც არ ჰქონდა დამწერლობა, ლიტერატურა, მუსიკა. თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის დროს აფხაზებს არც შეეძლოთ ზრუნვა თავისი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

„ცხვრის წყაროს" დადგმით აფხაზურ თეატრს უნდოდა შეექმნა ჯანსაღი, სოციალისტური ოპტიმიზმის სპექტაკლი; დრამა რომელიც ზეიმით, სიხარულით, სიმღერებით იწყება და ზეიმით, ცეკვით და სიმღერით მთავრდება, ამის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

თეატრმა მოგვცა მართლაც ცოცხალი, ამაღელვებელი სპექტაკლი.

აღნიშნული პიესის დადგმა დიდათ შეუწყობს ხელს თეატრის იმ ახალგაზრდა მსახიობების აღზრდას, რომლებსაც ხანმოკლე სცენური მუშაობის სტაჟი აქვთ. ზოგიერთმა მათგანმა, როგორც მაგალითად: ფაჩალიამ და აზიზ აგრბამ ოსტატურად შეასრულეს თავიანთი როლები.

პიესა შესანიშნავად უთარგმნია თეთრ ლეჟავას მ. გოჩუას რეალისტურად შესრულებული მხატვარ დ. მირიანაშვილის დეკორაციები მეტ ეფექტს მატებს წარმოდგენას და დიდ გასაქანს აძლევს მსახიობებს.

მუსიკაც მთლიანად პიესასთანაა დაკავშირებული და წარმოადგენს მის განუყრელ ნაწილს; ის ავსებს და აღრმავებს პიესის შინაარსს, ხაზს უსვამს ძლიერ ადგილებს. კარგად არის გამოყენებული სინათლეც.

მხოლოდ ლაურენსიას როლის შემსრულებელი (მსახ. შაკირბაი) ვერ დგას თავის სიმაღლეზე; ამ როლის არადამაკმაყოფილებლად შესრულება, არღვევს მაყურებელში მთლიან შთაბეჭდილებას და აცილებს პიესის საერთო რევოლუციურ პათოსს.

ნ. მიქავა.

მუსიკალური სატირის თეატრი

პირველ იანვრიდან განაახლა მუშაობა საქართველოს პროფსაბჭოს მუსიკალურ სატირის თეატრმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ რეჟისორები მ. ქიაურელი და [illegible] ძნელაძე. თეატრი უმთავრესად მომსახურებას უწევს ტფილისის მუშათა კლუბებს და რაიონებს.

პირველი წარმოდგენა გაიმართა პლეხანოვის სახელობის კლუბში 6 იანვარს. დადგმულ იქნა ხ. ფაშალიშვილის ახალი პიესა: „თავი სიზმარში მგონია".

თეატრის რეპერტუარში შედის: „ნილთი" და „განგალი" გალაკტიონ რობაქიძისა, „ასაქიო", საკოლმეურნეო ბაზრობა" ს. ფალიაშვილისა, „ბინის მაძებარი" კ. თოცხვერაშვილისა, „ცოცხალი დამკვრელი" და „ოქმი" ზერძენიშვილისა და სხ.

ლიტქრონიკა

ა.-წ. 9 იანვარს საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) მწერალი ლევან მეტრეველი წაიკითხავს სიუჟეტურად დამუშავებულ მონტაჟს „სამიჯნურო თავგადასავალი ხალხურ პოეზიაში".

შესავალი სიტყვა—ამხ. ა. ჭყონია.

— **საბავშვო „არსენა მარაბდელი".** მწერალთა კავშირის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის სექციას განზრახული აქვს „არსენა მარაბდელი" ბავშვებისათვის გადააკეთებინოს ავტორს.

მიხ. ჯავახიშვილმა თანხმობა განაცხადა ეს რომანი თვითონვე შეამოკლოს.

- **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო [illegible] ლისაშვილის ცალკე წიგნად გამოცემული ნოველა — „კადონა". მხატვარი დ. ქუთათელაძე. გამოცემა „ლიტერატურო გაზეთის".

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს მე-12 აბონ. 6 წარ	9 იანვარს 15 აბონ. 6 წარ	10 იანვარს 18 [illegible]
გედების ტბა	ქეთო და კოტე	ჩიო-ჩიო-სან (ქალბ. ტერფლაი)

12 იანვარს დღისით—გედების ტბა. დასაწყ. დღის 12 ს. ბილეთები იყიდება.
იმ აბონენტებს რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-7 საბონემენტო შესატანი, კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას [illegible] ადგილები გაიყიდება
ბავშვებს და მოწაფეებს 17 წლის ასაკამდე თეატრში შესვლა საღამოს წარმოდგენებზე ეკრძალებათ.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ზუსტ 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

8 იანვარს აბონ. № 8 მე 3 წარ.	წარმოდგენა № 55	მზის დაბნელება საქ.
9 იანვარს აბონ. № 9 მე-4 წარ.	წარმოდგენა № 48	ესკადრის დაღუპვა
10 იანვარს აბონ. № 1 მე 4 წარმ.	წარმოდგენა № 37	ურიელ აკოსტა

აბონემენტის თვიური [illegible] გადასახადი.
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

რუსთაველის სახ. თეატრი

8 იანვარს	9 იანვარს
11 აბ. 4 წარ.	[illegible] აბ. მე-4 წ
მაისტერ	მაისტერ

10 იანვრიდან 14 იანვრამდე რუსთაველის თეატრში
წარმოდგენა არ შესდგება
ამიერკ. საბჭოთა მე-7 ყრილობის გამო.

ოქტომბერი 5-30. 7-20. 9-10. 11
დამკვრელი 5-30. 8. 9-30. 11
[illegible] 5-30. 8. 9-30. 11.
ლუქსემბურგის სახ. 5-30. 7-20. 9-10. 11
„26"-ის კომ. სახ. 6. 7-30. 9. 10-30.

დადგმის მე 5 კვირა ხმოვანი ფილმი ჩაპაევი
პრ. გარეშე—მე-17 ოქტომბერი
ხმოვანი ფილმი სამუელ ვულფის ოთხი დარბაზობა
პრ. გარ. ხმოვ. ქრონიკა № 34
მხატვრული ფილმი ტყის ამბავი
სიმფონიური ორკესტრი—მ. არონსკის და შ. [illegible] ხელმძღვანელობით
დადგმის მე 11 კვირა
უკანასკნელი მასკარადი
დღისით აბრაგი ზაური
მცდარ კვალზე 2-რე სერია
დღისით ზამთარი. [illegible]

ხმოვ. კინო-თეატრი დამკვრელი
ხვალ. 7 იანვრიდან
ახალი ხმოვანი ფილმი
სამუელ ვოლფის ოთხი დარბაზობა
რეჟისორი—[illegible]. სცენარი—ს. ევლახოვის. ოპერატორი—კოზლოვი. [illegible] ოპერატორი [illegible]. მთ. როლებში: [illegible] ლივანოვი, შტრაუხი, სტანიცინი. [illegible] კარა დიმიტრიევი, ვ. მარეცკაია [illegible] აბრიკოსოვი და სხვ.
სეანსის დაწყება 5 30 7-20 9-10 .1

ვასწავლი ბუღალტერიას.
მოკლე ხანში ვამზადებ [illegible]ში, მოლარეთა თანამდებობაზე და ვასწორებ ხელს წერაში. ვღებულობ მცირე ჯგუფებით.
მისამართი: [illegible], აბონ. პირველის 1 [illegible] 6 [illegible] 5-7 ს-მდე.
6127 2-2

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ლიდია კ[illegible]ოვას სახელზე [illegible]

ტფილისის რკინის გზის საშ.-სატექნიკო სკოლა
აწარმოებს განცხადებების მიღებას საგაზაფხულო შეკრებისათვის.
გაიხსნება შემდეგი ჯგუფები 1. ორთქმავლების ზეინკლების, 2. ვაგონების ზეინკლების, 3. ვაგონების ხურგლების, 4 ელშემდუღებლების.
სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოზარდები—15-20 წ. არა სრული საშუალო სკოლის და 7 ჯგ. დამთავრებულნი ყველა მიღებული მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ძირითადად იან მუშის თანხებით, ჩაირიცხება იან რკინის გზელთა კავშირში.
სკოლასთან არსებობს დახურული განაწილებელი, დახურული სასადილო და ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო.
განცხადებებთან უნდა იქნეს წარმოდგენილი შემდეგი საბუთები. 1. განათლების მოწმობა 2. მეტრიკული ამონაწერი 3. სოც. წარმოშობის ცნობა. 4. ყვავილის აცრის ცნობა, 5. პასპორტი და 6. ორი შემოწმებული ფოტო-სურათი
განცხადებების მიღება წარმოებს ყოველდღე დილის 9-დან საღამოს 3 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვალს.
მისამართი: ქ. ტფილისი, ლენინის რაიონი, 1905 წ. რევოლუციის ქ. № 204, ტელ. ვაის ქ. № 15.
6480 სკოლის უფროსი ვანო წამალაშვილი.

საქ. საბინაო კავშირის დამხმარე [illegible]ებით, ცხაურ და სამშენებლო კანტორის „საბქომშენის" ლიკვიდაცია.
ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებმა და პირებმა მიმართონ [illegible] 20-მდე სომხის ბაზრის ქ. № 4 [illegible] შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.
6146 ლიკვიდკომი.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა
მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს, რომელზედაც გრძელდება განცხადებების მიღება.
მსმენელებს მიეცემათ შეღავათი. განცხადებების მიღება სალ 6 ს. კალინინის ქ. 51, რკ. გზის მე-5 სკოლის შენობაში, მე-3 სართული.
6410

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. ლენინის რაისაბჭოს მიერ
მოწვეულია სექციების პლენუმი
8 იანვარს, საღამოს 7 საათზე
(ლვოვის ქუჩა № 2).
საბჭოს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
რაისაბჭოს პ-მგ. მდივანი ბაირგ. განყო-გამგე
52 გ იმო ია.

სათანადო ორგანოების დადგენილებით
1935 წლის 1-ლ იანვრიდან ხდება
ქასბის მტს-ის მეურნეობის
ლიკვიდაცია.
პრეტენზიები მიიღება 15 იანვრამდე დირექციის იმავე ბაზზე—კ ასპი.
6362 ლიკვიდკომი.

სტალინის სახ. სას. სამ. უმაღლ. კომ. სკოლა
აუწყებს ძირითად განყოფილებაზე ახლად მიღებულ ყველა სტუდენტს, რომ მეცადინეობა დაიწყება 19 იანვარს. პირველ კურსზე ჩარიცხული ამხანაგები სკოლაში უნდა გამოცხადდნენ 15 იანვარს და თან იქონიონ ადგილობრივი პასპორტები.
აღნიშნულ ვადაზე ადრე მოსულები არ იქნებიან უზრუნველყოფილნი სტიპენდიით, კვებით და ბინით საცხოვრებლით.
სკოლის რექტორის მოადგილე
6145 დალაქიშვილი.

ძალით მეუღლე მარიამით, გიორგი მეუღლე თამარით და დარია ჯილაურები იუწყებიან
როზა იოსების ასულ ფირცხელაურის
1—1 უდროოდ გარდაცვალებას 6455

სოფიო ედიშერის ასული, ქმარი დავითი, შვილები: არჩილი, ბაბილინა, შოთა გარსევანიშვილები იუწყებიან დედის, სიდედრის და დიდედის
ელიზაბედ ათანელის ასულ ნუკრაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 ს. ახალ გეგმის ქ. 12. კუკიის სასაფლაოზე.
1—1 6449

უახლოესი ამხ. ცოტაძე, დოლიძე, მეგრელიძე, ყიფიანი, ჭეიშვილი, ცხადაძე, ჩოლოყაშვილი, ჯაიანი, კოკაია, კობერიძე, კვახაძე, ვეკუა, იუწყებიან ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის პარტორგანიზატორის ამხ. თეოფილე თევდორაძის მამის
სოლომონ თევდორაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა კუკიის სასაფლაოზე.

და კატო, სიძე ლევანკა, დისწულები ანიკო და ნინო ჩიქვაიძეები, სიძე ალიოშა ბუხნიკაშვილი იუწყებიან
გრიშა დარისპანის-ძე ლეჟავას
უდროოდ გარდაცვალებას. 6461

საქ. სარეწაო კოოპერაციის დამზღვევ სალაროთა კავშირის პრეზიდიუმი, თანამშრომლები და ადგილკომი იუწყებიან ზამზღვევ სალაროს დასასვენებელი სახლის დირექტორის
ვოროჟკა ჟღენტის
ტფილისში გარდაცვალებას. 6458

ბაბუცა, სიმონიკა, ხოშტარიები შვილებით იუწყებიან
ნასტია გეგეჭკორის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. ლენინის ქ. № 3.

გრიშა მაქსიმეს-ძე და კლარა ვასილის ასული გეგეჭკორი შვილებით შალიკო, არჩილი, მერი და ლამარა იუწყებიან დის და მამიდის
ნასტია გეგეჭკორის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. ლენინის ქ. № 3.

ქმარი გიორგი, შვილი ვახტანგი. რძალი ვერა ფირცხელაურები და მული სოფიო ფალავანდიშვილისა იუწყებიან
როზალია იოსების ას. ფირცხელაურის
გარდაცვალებას. გამოსვენება კლ. ცეტკინის ქ. № 116, დღეს 4 საზ. ს დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.
1—1 6453

მე-5 დამხ. არასრული საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედ. პერსონალი იუწყება ამავე სკოლის თანამშრომელ თამარა ნოზაძის დის
ელენა ნოზაძე—მაჭავარიანის
1—1 გარდაცვალებას. 6447

მათე და პოლინა იაკობაშვილები შვილებით ჩიტო, მარიცა, პეტრე, პავლე, ელენა, ზინა, ბიჭიკო და სიძეები: გიორგი კაიშაური და შალიკო აბალკაცი იუწყებიან სიძის
ალექსანდრე თორაძის
1—1 გარდაცვალებას. 6419

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რ უსთაველის პროსპ. № 24. ტელეფონები: რედაქტორის 3—42—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—78—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

ტირაჟი 98.000. სტამბა „კომუნისტი", კაოს ქ. № 58 მთავლიტის რწმუნებული 9469